# ცისკარი.

**1869**

**ნოემბერი.**

**წელიწადი მეცამეტე.**

**წოდება თხზულებათა:**


1. — საქართველოს ისტორიისათვს მასალები.
2. — ჩემს ძამიკოს (ლექსი) ალექსანდრე აკოფოვისა.
3. — ეგმონტი. ტრაგედია 5 მოქმედებად, გეტესი, ნათარგმნი მიხეილ ხუდადოვისაგან.
4. — მეფის ირაკლის ასულის თეკლეს გარდაცვალება და მისი დასაფლავება.
5. — მიწის ძვრა შემახიაში.


---


ტ ფ ი ლ ი ს ს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

## საქართველოს ისტორიისათვის.

### მასალები.

---

როდესაც ტოლსტოი მოვიდა ტფილისში, ვერ მოუსწრო აქ ვახტანგ ბატონის-შვილსა, ხოლო იმის ნაცვლად დახვდა ტფილისში ვახტანგის გერი კახუშტი, რომელიცა იკითხვიდა რუსეთის კელმწიფის ასტრახანში დაბრუნებაზედ და რომელმანცა გამოუცხადა ტოლსტოის რომ არზრუმის ფაშამ გამოგვგზავნა კაცი ოსმალს სულთანის ბრძანებითა და გვითვლის, უკეთუ სრულიად საქართველოში, ესე იგი სათაბაგოთგან დაწყობილი, მცხოვრებნი არა შეიქნებიან სულთანის ხელ ქვეით მყოფნი, მაშინ მრთელს საქართველოს ვაოხრებთო ამ დროს, ტფილისის ახლოს იდგა კახეთის ხანი და ცდილობდა ევნო ვახტანგ ბატონის-შვილისათვის,— ის ეუბნებოდა ჰყიზილბაშის მთავრობას, ვახტანგ ისეთი ერთგული არის რუსეთისა, რომ ცდილობს ზოგი ერთი ქალაქები, რომელიცა ეკუთნის სპარსეთს, რუსეთის ხელში ჩაუყაროს.

ტოლსტოიმ მისწერა წიგნი რუსეთის კელმწიფეს, რომ როდესაც ის მოვიდა ტფილისში და ჩააბარა ვახტანგს გრამატა, მამინათვე უნდა გაეგზავნა სპარსეთის შახის-შვილთან კაცი და შეეთვალა, რომ არ გაუშვებდა ის ოსმალებს ერთ-

ვანში და თუ კელმწიფეს თვითან არ შეეძლო მობრძანება, ჯარი მაინც გამოგზიენა ოსმალეთის შესაძრწუნებელათ; ამასთანავე დამატა, თუ როგორი ერთგული იყო რუსეთისა საქართუელოს ერი; და როგორ აწუხებდა საქართუელოს კახეთის ხალხი, შეერთებული ლეკების ჯართან.

შემდგომს ცნობა მიუვიდა ტოლსტოის, ისპანის აღებისა და ტახტითგან შახის ვადმოგდებისა, —შახი გადმოეგდო ტახტითგან თავის შვილს მირმვის. ტახტითგან გადმოგდებულმა სპარსეთის შახმა, გამოგზავნა ბეური ერი, აცნობა ეს ანბავი ვახტანგსა, სთხოვდა შემწეობასა და უკეთუ ეს შეეწეოდა, ისიც ბოლოს შემწეობას მისცემდა თუ საქმე რამ გაუჭირდებოდა საქართეელოს, ამ საგანზედ ვახტანგმა რჩევა სთხოვა ტოლსტოის, რომელმაცა ურჩია მიეწერა თითონ წიგნი რუსეთის კელმწიფისათვის, და თვითანაც აცნობა თავის კელმწიფეს და სთხოვა ჯარი,—ამას თანავე აცნობებდა, უკეთუ რუსეთიდგან ჯარი არ მოსულოდა, ოსმალეთი მოგლეჯდა საქართეელო ზემო ქართლსა (სათაბაგოს] ამასთანავე სომხეთსა და დააქცევდა მართვის მხარესა,

**1723** წელსა, სპარსეთის შახი, თავისის ცოლებითა, შვილებით დატუსაღებული იყო ტაბარჯუკის ციხეში და იმის ნაცვლად სპარსეთის ტახტზედ ასულიყო იმისი შვილი შახტალმაპი, რომელიცა სცხოვრებდა ყაზბინში, ეს ცნობა მიიღო ვახტანგმა ტოლსტოისაგან.

ვახტანგმა მისწერა წიგნი იმერეთის დეჲოფალსა დასთ-

ხოვდა, შეევედრებოდა რუსეთის კელმწიფეს, მოსულიყო საქართუჱლოში. ამის მიზეზით, რუსეთიდგან მოვიდა საქართუჱლოში ლეიბ ღვარდიის პრეობრაჟენის პოლკის კაპიტანი ბასკაკოვი, რომელსაცა ნაბრძანები ჰქონდა, გადაეცა უმაღლესი ბრძანება გერენალ-ლეიტენანტის მატუშკინისათვის, გამოეტანებინა ბასკაკოვისათვის საქართუჱლოში ვახტანგის საშველათ, ასტრახნითგან, ორი ათასი დრაგუნის პოლკის კაცი.

ტოლსტოი სხვათა შორის აცნობებდა რუსეთს რომ საქართუჱლოს ხანობა მიეცა სპარსეთის შახსა კახეთის ხანისათვის და არზრუმის ფაშა ემუქრებოდა ვახტანგს, თუ არ დაემორჩილებოდა ოსმალეთის სულთანსა.

ტოლსტოი როდესაც რუსეთის კელაწიფის ბრძანებით მოვიდა ასტრახანში, იქიდან აცნობა ვახტანგს, რუსეთის ჯარის გამარჯვება კახეთის ხანის დამარცხება, რომელიცა მირბოდა თავის შესაფარებლათ იმერეთში. რომლის მეფე ურჩევდა წასულიყო რუსეთის კელმწიფესთან და ეთხოვნა მოტევება, ამ დროს მოვიდნენ მრავალნი კახელი ქართუჱლები და სთხოვდნენ ვახტანგს როგორც მიტევებას, ისე უცხადებდნენ თავიანთ ერდგულებს, ამასთანვე ევნებოდნენ უკეთუ რუსეთის ჯარი მივიდოდა შამახაში, მაშინ ესნიც აღასრულებდნენ ამათ სურვილს და ემსახურებოდნენ ერგულათ.

როდესაც თერგის მდინარისთან მეხვდა ბასკაკოვს გრაფი,

ტოლსტოი, მაშინ წაუკითხა რუსეთის კელმწიფის უქაზი და ამასთანავე არჩიეს ბასკაკოვი დაბრუნებულიყო ასტრახანში სადაცა უნდა. შედგენილიყო გენერლის მატიუშკინის თანადასწრებით სამხედრო რჩევა, შესახებ იმ საშიშროებისა, რომელიცა მოიდა ვახტანგი.

როდესაც ტოლსტოი წავიდა რუსეთში, კელმწიფეს შეხვდა ხომალდზედ, რეველის ქალაქის ახლოს, სადაცა წარუდგინა მის დიდებულებას ასტრახანში შედგენილი სამხედრო რჩევის გადაწყვეტილობა, სადაცა მოხსენებული იყო, გაეგზავნათ ბასკაკოვი თვისის კომანდით, ვახტანგის მასალებათ.

**1724** წელსა, ამის შემდეგ, უცხო ქუეყნების კოლლეგიაში მოუვიდა წიგნი, მიწერილი საქართუელოს დედოფლის დარია არჩილის ასულისაგან, რომელიცა ითხოვდა, მისცემოდა ნება, მისულიყო რუსეთში უშიშრად ხელმწიფემ უბოძა ნება, დედოფალმა მოსწერა თავის ძმას ვახტანგს წიგნი, რომლითაც ითხოვდა, ცდილიყო ყოველის ღონის ძიებით, გაეგზავნა რუსეთში ორი ანუ სამი ათასი ქართუელების ჯარი, რომელიცა გამოიკვებებოდა სახელმწიფოს ხარჯით და რომელიცა მიიღებდა სწავლას და გამოცდილებას სამხედროს საქმეში რუსეთის ჯარისაგან, ამის გამო ვახტანგ **17** აგვისტოს მივიდა პეტრას ყაბარდოში, სადაცა მოეგება პოლკოვნიკი დისიცინი. ვახტანგის ამალაში იყო ათას ას ოთხმოც და ექვსი კაცი, როგორც მამრობითის სქესისა, ისე მდედრობითისა.

როდესაც ვახტანგ მოვიდა წმინდა ჯვრის ციხიდგან დათან მოყვნენ თავადნი ამილახვარი და თურქისტანისშვილი. გაუგზავნა წიგნი რუსეთის კელმწიფეს და აცნობა, რომ მოვიდა წმინდის ჯვრის ციხეში და იქიდგანა სურს ჩქარა გაემგზავროს მის დიდებულების სანახავათ; ამაზედ ითხოვდა ნების დართვასა. ხოლო დარია დედოფალსა სწერდა, რომ საქართუელოს ერი დიდს მწუხარებაში იყო ვახტანგის განშორებაზედ ერთის მხრივ და მეორის მხრივ, ოსმალებმა რა დაიჭირეს ტფილისი და ქალაქი გორი.

ამ დროს ერთმა ვიღაცა ერისთავმა მისწერა ვახტანგს წიგნი და ურჩევდა გამოეგზავნა თავისი შვილი საქართუელოში და თუ გამოგზავნიდა, ეს დაიხსნიდა ოსმალეთის მძლავრობისაგან საქართუელოს ხალხსა.

რუსეთის კელმწიფემ აცნობა თავადის მილახვარის პირით ვახტანგს, გულთადი თავისი სურვილი, ჩქარა მისულიყო პეტერბურღში ვახტანგ, რომლის მიზეზით ხასტიკი ბძა. იყო, გზაზედ ადგილობრივ მთავრობაებთან, კარგათ მიეღოთ და გაეცილებინათ ერთის ქალაქიდგან მეორემდინ.

**1725** წელსა—რუსეთის კელმწიფემ მისცა ბძანება გუბერნატორს ვოლინსკის, დაებარებინა მოხუცი ზაეედეი, გამოგზავნილი ასტრახანში კახეთის ხანის კოსტანტინესაგან და კახელებისაგან, რომელნიცა ითხოვდნენ, მიეცა რუსეთს შემწეობა, მაჰმადიანების შეწუხებაზე, და ამ ზაეედეისათვის გამოეცხადებინა, რომ რადგანაც ბევრი საქმეები ქონდა რუსეთს

ვერ შეიძლო ამ თხოვნის მიწყნარება, და უკეთუ სურდა მაჰმადიანების განმორებას, თვთან კოსტანტინესა და იმისა ქვეშევრდომნიც, გადასახლებულიყვნენ რუსეთში, კასპიის ზღვის ახლოს.

იმავე წელიწადს მოვიდნენ მოსკოვში ვახტანგ და იმისი შვილი ბაქარ, თავისის ძმით სვიმეონით. ვახტანგმა მიიღო მოსკოვში სამასი თუმანი თეთრი ფული და შემდგომს რვაასი თუმანი პეტრებურღში, ხოლო უქაზის ძალით სენატის სახელობაზედ, უნდა მისცემოდა წელიწადში სახარჯოთ ორი ათას ოთხასი თუმანი, ამას გარდა, პური, ქერი, თივა და შეშა სახელმწიფოთ, ვახტანგის მოსაყვანათ მოსკოვში, გაგზავნეს ასტრახანში კაპიტანი ლოპუხინი, რომელსაცა მისცეს გზის ხარჯათ ხუთასი თუმანი.

როდესაც მინისტრებსა ჰქონდათ რჩევა საქართველოს შესახებ, მაშინ ვახტანგიც იმათ რჩევაში იყო და მისცა აზრი ორი, პირველი, უკეთუ სურდა რუსეთს გამოეყვანა საქართველო ოსმალეთის ბრჭყალებიდგან, გამოეცხადებინა საქვეყნოთ, რომ ვახტანგ თავისის ქვეშევრდომლებით და სრულის მამულებით, შეიქნა საუკუნოდ შეერთებული რუსეთთან, ამას გარდა რუსეთს აეშენებინა ჩაჩნებში ციხე, სადაცა მდგარიყო ვახტანგ, და ის ხალხი, რომელიცა იყო ქრისტიანი, ბოლოს, კიდევ, უთხრა მინისტრებს ზოგი ერთი რალაცები. სხვათა შორის ამასაც ეტყოდა, რომ ის შეუერთდა რუსეთს, ხელმწიფის სურვილით, და როდესაც შეუ-

ერთდა: კელმწიფის ბრძანებით ვახტანგმა განატა რა ზამთარი: იმლაშქს სადაცა ნაბრძანები ჰქონდა კელმწიფესაგან, თუმცა სამს მილიონამდინ დაუჯდა ეს.; ისა სთხოვდა რუსეთს ხუთი ათას ჯარს კაცსა, რომ თავისი ქვეყნები ისევე დაებრუნებინა, რუსეთის გულისათვის, და იმის ერთგულობისათვის. დაკარგა სპარსეთსა და ოსმალეთისაგან დაპირებული წყალობაები. ამას თანავე ამაყობით იტყოდა, რომ იმისი გვარი მეფობდა საქართველოში ცხრა ასი წლიწადი მეტი; ამას გარდა ის არა იყო უბრალო მეფე, დასამტკიცებლად ამას იტყოდა; თუ რა ტიტულებით ამკობდნენ ოსმალეთის სულთანი და საფრანგეთის კაროლი, აჩვენა გრამოტა მინისტრებს, რომის პაპისაგან მიცემული, ოსმლის გრამოტაშიაც მიუწერდნენ ვახტანგს ტიტულს, ბრწყინვალებისას, უძლიერებისას და შეეცრის კარლობისას, მაშასადამე, იმას არ შეეძლო იმ ფულით თავის თავი ერჩინა, რა ფულიც დაუნიშნა რუსეთის ხელმწიფემ, ბოლოს დიდგულათ ესეც უთხრა მინისტრებს რა დიდი ფული მეძლევა თქუენგანაო, ორ ამოტენას დაგიბრუნებთ, როდესაც ჩემს ქუეყნებს მევე დავიბრუნებო. ამასაც თხოვდა, ნება მიეცათ ენაზა პირათ, იმპერატრიცა, რომ პირათ ყველა ეს მოეხსენებინა.

ამ ვახტანგის საჩივარს ეს პასუხი მისცეს: თვთან ვახტანგს და იმის მთამამაველობას, რუსეთისაგან დიდი პატივისცემა ჰქონიათ, და თუ ვისმეს მიუცია ტიტული უგანათლე-

ბულესტობისა, ან ბრწყინვალებისა, ეს ერთი დიდი რამ არა ყოფილა, რუსეთში, ყოველს უბრალო თავადს ბრწყინვალების ტიტული აქვსო. განსვენებულმა იმპერატორმა სპარსეთს დაუწყო ბრძოლა, საქართველოს საქრისტიანოს გამოსახსნელათა და თქუჱნის გულისათვისაო; ამას გარდა, იმპერატორისგან რაც ბძანება იყო, დაგვქირა ომის დროს ალაგებიო, იმ ბძანების ასრულების ნაცვლად, თქუჱნ კახეთის ხანის ჩხუბს მოუნდით; ეს ხომ ასე სულთანთანაც რაღაც იდუმალი მიწერ მოწერა გამართეო. ბევრი დაპირება იყო თქუჱნგან და ცოტაც ვერ შეასრულეო.

იმავე წელიწადს ნოემბრის თვეში, იმპერატრიცამ გაგზავნა სპარსეთში გენერალი ამილახვარი, მასთან მოსალაპარაკებლათ და თან გაატანა უცხო ენების სეკრეტარი ავრამოვი.

## ჩემს ძიამკოს.

— ძამიკო, ძამიკო!
აპა აქეთ მომხედე.
„მითხარ ჩქარა, რა იყო!
ხომ მხედავ, შემხედე.„
— მოითმინე, ძამია!
მოთმინება სჯობია.
გარწმუნებ, ვინც ჩქარია
ბევრი რამ წაუგია.
ვინ ვნახე მსურს გიამბო
ჩემ მოკლე მგზავრობაში,
ბევრნი ვიხილე, ძმაო!
ბევრნი რამ ვნახე ხალხში.

ვნახე მე დარდიმანდი,
ახალ გაზდა ვაჟ-კაცი,
ტანადი, მეტად მარდი,
ლამაზი და მამაცი·
თავს აქნევდა ამაყად.
არვინ არად მიაჩნდა,
ქალებს კი კოხტა, მარდად
უკან-უკან დაზდევდა,
ქადაგებდა შრომასა.

ერთგულებასა სწავლის;
თვით სხვას სცემდა თაყვანსა,
ერჩია თვალნი ქალის.
ძამიკო! ასე არის
ჩვენში ბევრნი სუსტობენ.
მომგონი არ ვარ შარის,
ამას ყველა მოწმობენ.
ძუნწი ენახე მდიდარი,
ეტრფოდა ოქროებსა,

ქადით იყო მაძღარი, აღმერთებდა ფულებსა.
ეცვა რაღაცა ძველები, არ დაზდევდა ფრანტობას.
უყვარდა შავთვალები, უძღვნიდა მას მონებას.
ლამაზ ქალებს ფულებსა თავაზით მიართმევდა;
დაცემულებს საწყლებსა ჭიმკრის კარს უჩვენებდა.
ძამიკო! ასე არის! ჩვენში ბევრნი სუსტობენ.
მომგონი არ ვარ შარის, ამას ყველა მოწმობენ.
ვნახე კეკლუცი ქალი, პეპელასავით ხტოდა,
კოხტათ ესურა შალი, არშიყულად რბოდა.
აქნევდა ნაზათ თავსა ძლივ-ძლივ ხმასა იღებდა,
ლაპარაკი ტკბილ ნაზისა მეტის მეტათ წყენდა,
საიდუმლოთ გეტყვით, არ უთხრათ ეს ლამაზსა,
თავს მოაწყენდა ყმედვით დარდიმანდ ლამაზს ვაჟსა,
განა მრომას, იწყნარეს, ტრფობა არა სჯობია!

ეს შეამთხვევს სიამეს, მას ღმერთნიც მინდობია.
ძამიკო! ასე არის! ჩვენში ბევრნი სუსტობენ.
მომგონი არ ვარ შარის, ამას ბევრნი მოწმობენ.

უეცრათ ერთს ტრამბახსა ბულვარში წავეყარე.
მითხრა ველი ფულებსა, ბევრნი მე შევანგროვე.
პატივს მცემენ ყველანი, რომ მაქვს დიდი კაცობა,
ყმათა მყავენ მრავალნი, მესმის ქების გალობა.
დიდ კაცობა. ფულები, ხომ პირველი საქმეა.
ოფლის ცხელი წვეთები მეტის მეტათ მწარეა.
ძამიკო ასე არის! ჩვენში ბევრნი სუსტობენ.
მომგონი არ ვარ შარისა, ამას ყველა მოწმობენ.

გაუმარჯოს, მეძროხეს! აპა მითხარ რა ნახე?
ვინ ვის უგებდა მახესა? საით რა დაინახე?
ჩვენ ლამაზსა წატოსა, იცი რა შემთხვევია:
გაუგდია ის ქმარსა, რალაც შეუმჩნევია.
ჩუენი ანნა ხომ ყოველგან ჩუმ-ჩუმათ მიზდევს ვაჟსა
არ ვიცი სწორეთ ვიზგან, მგელი ყავს ამა ურცხვესა.
ძამიკო! ასე არის! ჩუენში ბევრნი სუსტობენ.
მომგონი არ ვარ შარისა, ამას ყველა ამოწმობენ.

დილა არს მშვენიერი, გაველი სასეირნოთ.
შემხვდა კაცი ხნიერი, მითხრა: ერთათ ვიაროთ.

დავიწყეთ სიარული, მას ფერი ეცვლებოდა:
უშფოთთებოდა გული, ჯავრიანათ ხენემოდა·
იცი რა აწუხებდა! მის ძმას მიელო ჩანი;
შური გულს ეხვევოდა, აღარ ჰქონდა მას ლხინი·
ძმიკო! ასე არის! ჩუენში ბევრნი სუსტობენ.
მომგონი არ ვარ შარის ამას ყველა მოწმობენ.
არ სენ გჯობნის, ჭაბუკო! ყველას სჯობნი ხარ სახითა
გეტრფის მეტათ მაიკო. აღივსო ტკბილის გრძნობითა
ჰკუით და გონებით: მითხარ, ვინ შეგედაროს!
მაღალი ხარ მცნებითა, გააფსებ დიდ პლატონს,
ამ გვარათ მიალერსა ჩემა ტკბილ მეგობარმა,
ვკიცხამ ფარისეველსა. იცი რა ქნა ამ ლორმა.
გუშინ ერთს სტუმრობაში ჩემზედ ასე ანბობდა:
დაწანწალობს ქუჩებში. მარლატნობით გაშმაგდა.
ძმიკო! ასე არის! ჩუენში ბევრნი სუსტობენ.
მომგონი არ ვარ შარისა, ამას ყველა მოწმობენ.

ეს ვნახე მგზავრობაში და სხვანიცა მრავალნი;
ბევრი რამ იყო ხალხში, კალმითა ასაწერი-
სჯობს რომ დავეკსნეთ სხვასა, კმარა ეს საუბარი,
მხოლოდ მათთეის ვისუროთ ტაროსი საამური.

ალექსანდრე აკოფოვი.

ქ. ქუთაისს.

# ეგმონტი.

## ტრაგედია 5-უთ მოქმედებათ.

თხზულ. გეტესი. ნათარგ მხუდა-დოეასაგან.

მოქმედნი პირნი:

მარგარიტა პარმისა, ასული კარლ 5-ესი მპართებელი ნიდერ-ლანდიისა.
გრაფი ეგმონტი, თავადი გავრისა. ვილგელმ ორანჟელი, გე-(რცოლი ულბა, ფერდინანდი, ბუში შვილი ულბასი მაკია-ველი, მმართებლისი სანდომოზელი რიხარდი, სეკრეტარი გრა-ფის ეგმონტისა სილვა გომეცი (სანდო მოხელენი ულბისა) ლარა, საყვარელი გრაფის ეგმონტისა დედა კლარასი ბრაკე-ნბურლი, ბრუსელის მოქალაქე სოესტი, ვაჭარი იეტტერ, მკერვალი ბრუსელის მოქალაქენი) დურგალი საპნის მხარშა-ვი ბუკი, სოლდათი რუისემი, მოხუცებული ინვალიდი ყრუ ფანზენი, წერალი სამეფოს კარისანი, ამალა, ხალხი და სოლ-დათები.

მოქმედება ბრუსელში.

### მოქმედება 1-ლი

სცენა 1-ლი.

მიზანში სასროლი ალაგი?

სალდათები და მოქალაქენი შამხანებით. იეტერი შემოდის შამხანის მომართვით.

სოესტი.

აბა. აბა რაღა, ესროლე და მოუღე ბოლო! რაც უნდა ჰქნა მაინც ჩემი მეტი გამოვა: სამს შავს მრგვალში შენ შენს დღეში ვერ მოარტყამ. ამწლის უსტაბაში მე უნდა ვიყო!

იეტერი.

დიახ ბატონო. უსტაბაში და მასთანაც კოროლიც. აბა ვინ გაგიხდება შენ წინააღმდეგი? და მაგიტომაც დაუთველი ორის ხარჯს: პირველობა არ უნდა ეძლეოდეს მუქთად კაცს. სისწორებას ითხოვს.

ბუიკი.

იეტერ, მე ვყიდულობ შენს ჯერს, მოვგებ სანახევროდ და გარდა ამისა დავპატიჟებ ამ ბატონებს, რადგანაც დიდი ხანია აქა ვდგევარ და ვალდებული ვარ ამათი ასე ზრდილობიანათ მოქცევისათვის. თუ რომ ვერ მოვარტყი, ეს სროლა შენთან ჩაითვლება.

სოესტი

შემეძლო მეთქვა რამე მაგისი წინააღმდეგი, რადგანაცა მე ვკარგამ მხოლოდ მაგაში, მაგრამ და ბუიკო ყაბულ ვიხდები.

ბუკი (ესერის)

აბა, საფრთხილო თავი დამიკარ! — ერთი! ორი! სამი! ოთხი!

სოფსტი

ოთხს მიგვალში? რაექნა სუყველანი.

რუისუმი.

კოროლს გაუმარჯოს! კიდევ და კიდევ გაუმარჯოს!

ბუკი

მადლობელი ვარ უფალნო დიდი პატივისათვის, მადლობელი!

ოფიცერი

გაძლევთ ღირსეულს: შენ შენი მადლობელი უნდა იყო.

რუისუმი.

ყური დამიგდეთ!

სოფსტი

ოჰ! როგორახარ ბებერო?

რუისუმი

აი რას გეტყვით: ეგეც იმისთანა მსროლელია, როგორც მაგის ბატონი— ესერის როგორც თვით გრაფი ეგმონტი

ბუიკი

აბა რას ამბობ, რა შესადარებელია! მე იმას წინ ერთი უბრალო, ფეხშიშველა მსროლელი მევარ; იმისთანათ მრთელ ქუეყანაზედ ვერავინ ესრის, არა ც თუ იმ დროს, როცა ქეიფზეა, არა! რადროსაც დაუმიზნოს მაშინვე შაუს მრგვალში მოარტყამს მე იმისაგან ვისწავლე და ცუდი უნდა იყოს ის მოსამსახური, რომელიც იმყოფებოდეს იმასთან და არა ისწავლოს რა უფალნო, მგონია მშიერნი ხართ? კოროლს ველი აქვს თავისი ხალხი გამოზარდოს. აბა მაშ ღვინო! კოროლის ხარჯზედ!

იეტტერი

ჩუენ ჩუეულება გვაქვს, რომ ყველა..

ბუიკი.

მე აქაური არა ვარ და გარდა ამისა კოროლიცა ვარ, გამაცალეთ იქით, მე თქუენი ჩვეულებისა არა ვიცი რა!

იეტტერი.

შენ უარესი ყოფილხარ ისპანიის კოროლზედ, ის აქამდისინ მაინც არ გვიშლიდა ჩუენ ჩვეულებასა.

რუისუმი.

რა თქვა!.. სოესტი (ხმამაღლივ]

არაფერი.. სურს რომ თავის ხარჯზედ დაგვპატიჟოს და ნებას არ გვაძლევს ფსონისას, როდესაც კოროლმა მხოლოდ უნდა მისცეს ორი ხარჯი·

დაე! ეგ სამაგალითო არ არის! მაგის ბატონიც მაგ ჩვეულებისაა, ყოველთვის უხვია და არავის თავისუფლებას არ აეიწროეებს. (ილებენ ხელში ღვინოს)

სუყველანი.

მისის დიდებულების სადღეგრძელო!

იეტტერე (ბუიკს)

ესე იგი შენი.,

ბუიკი.

მაშ თუ ეგრეა, მადლობელი გახლავართ

სოესტი.

რასაკვირველია ეგრეა! ისპანის კოროლის სადღეგრძელოს არც ერთი ნიდერლანდელი სიამოვნებით არდალევს,

რუისიმი.

ვისი სადღეგრძელო?

სოესტი [ხმამაღლივ)

ფილიპე მეორეს, ისპანიის კოროლსა.

რუისუმი.

ჩვენის ყოვლად მოწყალეს კორო ლისა, ღმერთმან აცოცხლოს დიდ-ხანს!

სოესტი.

თქვენ, მგონი, უფრო გიყვარდათ იმისი მამა, კარლმეხუთე, არა?

რუისუმი.

აი ის იყო კელმწიფე!.. ღმერთმა სულით განანათლოს!

თითქმის ხელში ეჭირა მრთელი ქუეყანა მაგრამ კი დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა, ძალიან თავდაბალი, შეხდებოდა ვისმე — თავს უკრამდა, როგორც თავს სწერს და თუ ის შეკრთებოდა იცოდა'. ისეთი კეთილობით — ხომ გესმით.. სეირნობის დროს არას დროს არ ახლდა დიდი ამალა. როგორ ვტიროდით, როდესაც თავის უფლება გადასცა შვილს.· მე მინდა გითხრათ! ხომ გესმით, რომ ახლანდელი ჩუენი კოროლი იმისთანა არ არის, ეს უფრო გამოიცქირება „დიდებულებით„

იეტტერი·

ეს. ეხლანდელი, როცა რომ აქ იყო არ გამოდიოდა ხოლმე უსამეფო შემკულებით და ტანის-სამოსით ამბობენ ჩუმათ,

სოესტი.

ნიდერლანდებისათვის მაგის თანა უფალი საჭირო არარის ჩუენნი მთავარი უნდა იყოს მხიარული და გულწრფელი, როგორათაც ჩუენა ვართ: შენც იცხოვრე დასხუასაც ნუ დაუშლი ცხოვრებას! თუმცაც კი ძალიან რეგვენებიც ვართ, მაგრამკი არ თავთმობთ შევიწროებას და თვალში ამოწუნებას.

იეტტერი.

მე მგონია რომ კოროლი უფრო მოწყალე იქნებოდა თუ იმას უმჯობესი მრჩეველნი ჰყოლოდა·

სოესტი.

არა! არა! ნიდერლანდლებზედ სრულებით იმას მიზიდულება; არა აქვს, გული არუძევს ხალხზედ, ჩუენ არ უყვარეართ: მაშ შეიძლება რომ ჩუენ გვიყვარდეს ისა? ეგმონტზედ რათ აქვს მიზიდულება ხალხს? რათა ვართ ყოველთვის მზათ ვატაროთ ხელში აყვანილი ეს? ამიტომ რომ ერთისავე შეხედვით ვიტყობთ რომ იმას სურს ჩუენთვის კეთილი: ამიტომ რომ იმის პირისსახიდგან გამოჩანს სიმხიარულე, კეთილობა და წრფელობა. ყოველთვის მზათ არის გაუყოს რაც კი აქვს არამცთუ მარტო იმათ, ვინც საჭიროობს, არამედ იმათაც, ვინც არა საჭიროობენ. ღმერთმა ადღეგრძელოს ეგმონტი შენ ბუიკო, უნდა პირველს მოგვეგონა ეს სადღეგრძელო. აბა! ჩქარა! შენი ბატონის სადღეგრძელო!

ბუიკი.

დიდის სიხარულით, გრაფი ეგმონტის სადღეგრძელო!

რუისუმი.

გამარჯვებულისა სენკენტენზედ!

ბუიკი.

გრაველინგენის მამაცისა!

სუყველანი.

ღმერთმან ადღეგრძელოს!

რუისუმი?

უკანასკნელი იყო ჩემი ომი სენკენტენზედ; მე დალალვისაგან ძლივსალა მოვფრატუნებდი, თოფის სიმძიმე მაწუხებდა, მაგრამ კარგა ბოლოთ კი დავახიე ფრანცუზებს ტყა-

პუჭები (შუბაები] და მხოლოდ გამოსალმების დროს დამაკაწრეს მარჯვენა ფეხი.

ბუიკი.

გრაველინგენზედ! მეგობარნო, აქ სად გვადგა დიდი სიცხე! მართლა ჩვენ გვეკუთვნის იქ გამარჯვება. ის ველშის ძაღლები თურმე მთელს ფლანდრიაში არა სწვამდნენ და ანადგურებდნენ რაც კი ხვდებოდათ ხელში? იმისათვისაც კარგათ მოხვდათ. იმათი ძველნი გრძელ ულვაშებიანი სალდათები დიდხანს მაგრათ იდგნენ. მაგრამ რაოდენსამე შეტევის, დაცემის და სროლის შემდეგ მაინც კი დაეანტვრიეთ იმათაც კბილები და გავტეხეთ იმათი რიგები. ამდროს გრაფ ეგმონტს ცხენი მოუკლეს, ბრძოლა დიდხანს განგრძელდა, ვბრძოლობდით პირის პირ, ხან წინ ვიწევდით და ხან უკან, სოლდათი სოლდათზედ მიდიოდა, ცხენოსანი ცხენოსანზედ, გუნდი გუნდზედ,— და ეს ომი იყო დიდ ვაკეზედ, ზღვის ნაპირს. უცეფ ჩვენ ბრძოლაში შემოგვესმა გრიალი: დაუ! დაუ! დაუ! —როგორც ციდგან, ისე სცვიოდათ ფრანცუზებს ყუმბარები. ის იყო ანგლიის ფლოტი ადმირალ მილენის წინამძღვანელობასა ქვეშ, რომელმაც შემთხვევით გამოიარა დურკენზენიდგან, უნდა ვთქვა ანგლიჩანებმა დიდი შემწეობა არა მოგვეცეს რა, რადგანაც სიახლოვეს ნაპირიდან, მხოლოდ პატარა ხომალდები მოდიოდნენ, გარდა ამისა, მათი ნასროლი ჩვენც გვხვდებოდა, მაინც კი, რაც უნდა იყოს, გვარგებს"

ველშები დაიმალნენ, ჩვენ გული მოგვეცა; აი აქ უნდა

გეყურნა! ჩას! და ჩუხ, მარცხნივ და მარჯნივ, და შევყარეთ წყალში, ერთი ორი ცვარი ჩაყლაპეს თუ არა იქვე ჩავდნენ] ჩუენკი, როგორათაც გველები ისე დავცურამდით თავის უფლად; დაუწყეთ ჭერა და ხოცვა, როგორც იხვებს და ცოტანი, ვინც კი გადარჩნენ ისინიც კი დაიჭირეს დედაკაცებმა, რომელნიც ორკაპებით და ფოცხვებით ჩამოცვინდნენ სოფლიდგან, ამ ომის შემდეგ მის ველში დიდებულებამ, ძალა დატანებულმა გამოგვიშვირა ხელი და გვთხოვა შერიგება. ვალდებულნი ხართ თქუენ ჩუენი და დიდის ეგმონტისა იმ შერიგებისათვის.

სუყველანი.

ღმერთმან ადღეგრძელოს ეგმონტი! ურა! ურა!

იეტტერი.

რატომ ის არ უნდა იყოს ჩუენი მთავარმმართებელი მარგარიტა პარმის მაგიერათ?

სოესტი,

მაგას ნუ ანბობ! სწორე ყოველთვის სწორეა. მე არ გაუშვებ ცუდი სთქუას ვინმემ რამე პრინცესსა მარგარიტაზედ. ჩემი ჯერია, — ჩუენს მოწყალეს პრინცეს სადღეგრძელო!

სუყველანი ღმერთმან ადღეგრძელოს!

სოესტი.

ჭეშმარიტად წარჩინებულნი დედაკაცნი გამოდიან იმათი სახლობიდგან, ღმერთმან ადღეგრძელოს მართებელი!

იეტტერი.

მე არ აგიხირდები მაგაზედ რომ იმისი ყოველივე მოქ-მედებანი კეთილ გონიერნი და გაფრთხილებულნი არიან,— მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ძალიან უგონებს მღდლებს. იმისი მოწყალებით არ მოგვემატა თოთხმეტი მიტრა? რა საჭირონი არიან? ეს იმიტომ არა ჰქნა რომ გარშე ქუეყ-ნიდგან მოსულები შეეჭედნა და მიეცა იმმათ·თვის ის კარგი ალაგები, რომლებზედაც იყვნენ დანიშნულნი კაპიტულისგან აღრჩეულნი ჩუენი აბბატები [ბერები?) უნდა დაგვარწმუნონ ეითამც თუ სარწმუნოების დასაცვავად გამოეწეროთ!—დიახ რასაკვირველია! ჩუენთვის სამი ეპისკოპოზიც საკმაო იყო: ყველა კარგათ და რიგიანათ არ მინჲოდა აქამდინა, ახლა დიდ საჭირო რამედ აგდებს ყველა თავის თავს და იმიტო-მაც იხულანჯება ყველა: რამტელსაც მეტად ურევთ წყალს იმტელი უფრო იმღრევა! (ყველანი სვამენ).

სოესტი.

ეგ კოროლის ნებაა. იმას აქ არაფრის შეცულა არ შეეძლო.

იეტტერი.

ნებას არ გვაძლევენ ახლად შეთხზულის ჰსალმუნების გალობისასა, ზილწი სიმღერები კი რამტენიც გინდა გაჰკივ-ლე. ამტკიცებენ რომ იმახალ პსალმუნებაში არის ერესი და იმისთანა, იმისთანა... ღმერთმა იცი,ს მართალია თუ არა? მე მეშხეედრია ვალობა ახლის პსალმუნებისა, მაგრამ მე ცუდი იმაში ვერა ენახერა.

ბუიკი.

ჩუენ, ჩუენს პროვინციაში რაც მოგვხდება ყველასა ემღეროზთ, რადგანაც მმართებლობას იმ ეგმონტი, რომელიცა ყურს არცკი იბერტყაეს მაგისი ანაებზედ. გენტში ეიპარესში ყველას აქვს ნება მღერისა, რისაც კი რომ სურს. ,, ხმამაღლივე სასულიერო გალობაებისთანა უმანკონი არცერთი არარის, არა ბიძია რუისუმი?

რუისუმი.

ეხ! რასაკვირეელია. ¦ღმეთის სადიდებლად და ჩუენის დასარიგებლად ყველაზედ უმჯობესნი ისინი არიან.

იეტტერი.

ამბობენ ეითამ ის პსალმუნები ისე არ არიან დაწერილი იმათებურად, როგორც უნდა იყვნენ, ეითამც საშიშნი არიან და ხელი უნდა აეილოთ იმათგან. ინკვიზინციის მსახურნი სდევნიან ყველას და მრავალნი კეთილი გვამნი გამხდარან იმათგან უბედურთ შევიწროება ჩუენის სვინიდისისა. ესღა გვაკლსა! თუ რომ გვართმეევნ თაეის უფლებას ჩუენის მოქმედებისასა, ნუ დამიშლიან მანიც ფიქრსა და გალობას, რისაც მინდა.

სოესტი.

ინკვიზიცია ვერ გვაჯობებს, ჩუენ ხომ ისპანიელები არა ვართ, ვერ მოვითმენთ ჩუენის სვინედისის შეწუხებას. კარგი კი იქნება, რომ პატარ კეთილშობილთ ფრთები მიაჭრან ინკვიზიციას.

იეტტერი

ჯანკალი მიიტანს როდესაც ვფიქრობ, რომ ის მტერ-შეგობარნი თავის ქეიფით შემობრძანდებიან ჩემს სახლში, როდესაც მე ვზივარ საქმეზე და ჩემთვის ვღუღუნებ ჩემს ენაზედ რომელსამე ვხალმუნს, სრულებით გაუფიქრებლად იმის მნიშვნელობაზედ.-ვღუღუნებ ამიტომ რომ თითქმის თავის თავად ხელზედ მადგა და იქნება, ვინიცის, ხელიცა მტაცონ და გამამცხადონ, რომ შენ ერეტიკი ხარ! და ანთუ, როდესაც ვსეირნობ გარემე ქალაქისა შევხვდე უცებ ხალხის, რომლიც უგდებდეს ყურს იმ ახალთ მქადაგებელთ, რომელნიც გერმანიიდგან მოდიან, დავდგე, დავუწყო სმენა და უცებ მტაცონ კელი, გამომიცხადონ, რომ ამღვრეველი ვარ და გამომასალმონ კიდეც წუთის სოფელს,

როდისმე დაგიგდიათ ყური ახალის მქადაგებლებისათვის?

სოესტი.

თავგადადებულნი ხალხნი არიან! უკანასკნელს დროს მე შევხვდი ერთს, რომელიც ასწავებდა რამდესამე ათას კაცს. ჩუენი მღუდლებისთანა კი არ გახლდათ, რომელნიც არახუნებენ კათედრიდგან და სულს გვართმევენ ლათინურით. დიდის გულმხურვალობით ლაპარაკობდა, გვიხსნიდა ჩუენ, როგორ სასულიერო წოდება ჩუენვე გვატყუებს და ეყავარა ძალათი რეგვენათა და როგორ შეგვიძლიან განათლდეთ. ყველას ამას არწმუნებდა დაბადების სიტყვებით.

იეტტერი.

იქნება ეგრეც არის, მე ყოველთვის ეგრე ვამბობდი და

ფიქრობდი კიდეც- თავბრუმეხვეოდა.

ბუიკი.

აი, მაგიტომაც დასდევს ხალხი იმათ.

სოესტი.

რასაკვირველია ეგრეა, ხალხი იმას მიჰყვება, ვისაგანაც ბევრს კარგს და ახალს გაიგონებს.

იეტტერი.

ან ვითომ რა არის, რატომ ყველას არ უნდა ჰქონდეს ნება ქადაგებისა?

ბუიკი.

კარგი უფალნო! ბევრი ვიყბედეთ: დავივიწყეთ ღვინო და ორანელი.

იეტტერი.

ორანელი განა დასავიწყარია?- ჩუცნიფარია. მოიგონებ თუ არა, მაშინვე თვალ წინ წამოგიდგება, რომ იმის მხრებს უკან თვთ ეშმაკისაგანაც შეიძლება დაიმალო. მაშ ვილგელმ ორანელის სადღეგრძელო! ურა!

სუყველანი.

ურა! ურა!

სოესტი.

აბა, ვებერო, შენი ჯერია სადღეგრძელ ს მოგონება.

რუისუმი.

ბებერი სოლდათების სადღეგრძელო! სუყველა სალდათებისა! ღმერთმან აღღეგრძელოს ომი!

ბუიკი.

ბრავო, ბებერო! სუყველა სალდათებისაც ღმერთმან ადღეგრძელოს ომი!

იეტტერი

ომი! ომი! იფიქრე შენ რასილებ თავზედ? მე კარგა მესმის შენი მაგ სიტყვის ადვილათ გამოთქმა, მაგრამ მშვიდობიანთ მოქალაქეთათვის საშინელი სიტყვაა, მრთელი რგვალი წელიწადი ბარაბანის რახუნი გესმის, მხოლოდლა ესლაპარაკია: ესადა ეს პოლკი იქ გადავიდა, ესადა ეს აქ გადმოვიდა, გასცილდნენ გორაკსა და დაისვენეს წისქვილთან, იქ იმტოლი ხანი დარჩნენ, აქ ამტენს; ბრძოლა იყო — იმათ წააგეს, ამათ მოიგეს და თავისდღეში კი ვერ გაიგებ თუ ვინ რა წააგო და ან ვინ რა მოიგო. მერმე გესმის რომ ესადა ეს ქალაქი აიღეს, მცხოვრებნი სულ ამოწყვიტეს, უბედურთ დედაკაცთ და უბრალო ყმაწვილთ ამგვარად და ამგვარათ მოეკიდნენ. მინუტი მოსვენება არა გაქვს, მუდამ შიში.. გებლანდება თვალებში აი, აი, მოვლენ და ჩვენც იმ წყალს დაგვასხმენ.

სოვსტი.

აი დამტკიცება იმის, რომ ყვლა მოქალაქემ უნდა იცოდეს ხმარება იარაღისა,

იეტტერ.

სრულებით მართალია, უმეტესად იმან. ვისაც ცოლშვილი ჰყავს. . . მაგრამ მაინც კი უფრო მიყვარს სოლდათებზედ ლაპარაკი. მინამ მათი ნახვა.

ბუიკი.

ოჰო! მგონი ეგ მე გადმომკარით.

იეტტერი.

არა მემამულეე, ეს სიტყვები შენზედ არარიან ნათქვაში, ესენი გესპანიისგირმიზონებს ეკუთნიან. . ოჰ! თავისუფლად არ ამოვისუნთქეთ, როცა იმათ ზურგები გვიჩუენეს!

სოესტი.

დაგერწმუნები მაგაზედ! ამბობენ, ვითომ მეტი მოგვხედ-როდეს იმათგან ყველაზედ?

იეტტერი.

შემცდარი ხარ.

სოესტი.

მენ სახლში იმათი დგომა შენთჳს ცოტარამ შესაწუხა-რი იყო.

იეტტერი.

კარგი, ხმა ჩაიწყვიტე.

სოესტი,

წაართვეს საწყალს საზზარეულო, მარანი, ოთახი და თუ ომე ლოვინიც კი. —(ყველანი იცინიან).

იეტტერი.

ბრიყვი!

ბუიკი.

სიმშვიდე უფალნო! სალდათის საქმეა სიმშვიდის ჩამო-

გდებ:? თუ თქუენთვის სასიამოვნო არ არის ჩუენზედ ლაპარაკი, მაშ დაელიოთ სადღეგრძელო ყველასი, მოქალაქებისა.

იეტტერი.

ძლიან გულით! უშიშროება დამშვიდობიანობა!

სოესტი.

რიგი და თავის უფლება!

ბუიკი.

ბრავო! მაგ სადღეგრძელოზედ ჩუენც კმაყოფილნი ვართ. (სვამენ და იმეორებენ ამ სიტყვებს რამდენჯერმე, როგორც რომ აიაფებენ პირველებს; ოწყობენ მეორები. ყველაში უნდა იყო თავისდაგვარი წყობიერობა. ბებერი ინვალიდი დიდხანს ჩუმათ არის, მერმე ისიცა ჰყვება.)

სუყველანი.

უშიშროება დამშვიდობიანობა! რიგი და თავის უფლება!

სცენა მეორე.

პალატი მმართებელასი.

მარგარიტა პარმისა სანადიროს ტანისამოსით, სამეფო კარისანი, პაჟები და მოსამსახურენი.

მმართებელა.

უარი უთხარით ნადირობისა, დღეს მე ვერ წავალ. მაკიაველი დამიძახეთ [ყველანი გადიან]

ჰაზრი ამ სამინელთ შემთხვევაებზედ მოსვენებას არ მაძლევს. არას არ შეუძლიან ჩემი გამხიარულება, არაფერი

არ მართებს: ყოველთვის წინ მიდგანან ერთი და იგივე ზრუნვანი დასახენი კოროლი უთუოთ იფიქრებს, რომ ყველა ეს ჩემის კეთილობისაგან და მოწყალებისაგან წარმოსდგა სვინიდისი კი მეუბნება ყოველ მინუტს, რომ მოვიქცე ისე კარგათ, რამტენიცკი შესაძლებელი იყო. ნუ თუ პირველივე ალი, ჩემის რისხვის ქარი, შხალიათ, უნდა დამელევნა და მომედო მთელის მხარისათვის? მე იმედი მქონდა, ის ალი თავის თავად ჩაქრებოდა, თუ რომ დაუშლიდი განვრცელებასა. .

დიახ, რაც უნდა დავაბრალო ჩემს თავს ყველაში მართალი ვარ, მაგრამ როგორ მიიღებს ყველას ამას ძმა ჩემი; შესაძლებელი არის ვარი ვყოთ, დღითი დღე ვარეს და ვარეს ჩადიოდნენ და აღასრულებდნენ თავიანთს ნებას აჴალ მოსულნი მოქალაგენი, ჰბილწავდნენ ჩვენს წმინდანათ, მოქმედებდნენ ტლანქს გონებაზედ ხალხისას და შლიდნენ მათი ჯონებიდან?,—ბოროტნი სულნი შეერთდნენ მათთან და საშინელი მოიქმედეს საქმეები რომელთ ზედაც უშეუძრწუნებლად არ შემიძლიან ვიფიქრო. მე უნდა საჩქაროთ ვაცნობო კოროლს დაწვრილებით ყველა ესე და მით შევაჯერო ხალხის ხმა, უამისოდ კოროლი იფიქრებს რომ იმისგან მალავენ უფრო ჭარესს. ვერა ღონის ძიებას ვერა ვპოვებ აღმოსაფხვრელად ბოროტებისა.

ოჰ! რავართ ჩუენ უდიდესნი ამ სოფლისა, კაცობრიობის ღელვასა შუა? ჩუენ ვფიქრობთ იმათ მფლობელობაზედ

და ისინი კი ჩუჱნ გვათამაშებენ, გეისვრიან საითაც მოხვდებათ თავიანთ ნებაზედ (მემოღის მაკიაველი.) წიგნები კოროლთან მზათ არის?

მაკიაველი.

ერთს საათის შემდეგ მოგართმევთ მოსაწერათ.

მმართებელი.

საკმაო დაწერილებით ყველაა აღწერილი?

მაკიაველი.

რიგიანათ და დაწერილებით, როგორათაც უყვარს კოროლს. წინაპირველად მოვახსენებ როგორ სენტომერში გამოჩნდენ ხატების ურწმუნონი, როგორ გადარეულმა ხალხმა ცულებით, ვეტებით, წერაქვებით, კიბებით, თოკებით და რომელთშვა ერია ცოტაოდენი შეარაღებულებიც, დაეცნენ სალოცავებს, მონასტირებს და ეკკლესიებს, გაფანტეს მლოცველები, გამოტეხეს კარები, დაანტვრიეს ტაძრები, ხატები და გააფუჭეს ფეს ქვეშ წმინდა სამოსელი და ავეჯები; მერმე ვწერ, როგორ ამ ხალხს თანდითან ემატებოდნენ და როგორ ქალაქმა ეიპრეისმა კარი გაუღო ამათ, როგორ იქ გამოუთქმელის სიწრაფით გაცარცვა სობორები და დასწვა ეპისკოპოზის ბიბლიოტეკა; მერმე როგორ დიდ ძალი კრება ხალხისა, შეშლილი ბონებიდგან, დაეცა მენინს, კომენეს, ფვერეიკს და, ლილს და, არსად არ ჰპოვეს წინაღმდეგობა და როგორ ბოლოს, მთელს ფლანდრიაში განვრცელდა, თითქმის ერთ წუთში და მოვიდა მოქმედებაში ეს საშინელ

ბოროტი განზრახვა.

მმართებ.

ახ! შენმა ლაპარაკმა განმიახლა ნაღველები და ამასთანაც მეშინიან ბოროტების უფრო განძლიერებისა. შენ როგორ ფიქრობ ამაზედ მაკიანელო?

მაკიავ.

მამიტევეთ თქუენო დიდებულებავ, თუ რომ ჩემნი ჰაზრები ჰგვანდნენ როტვასა. თქუენ ყოველთვის მეჩვენებოდით ხოლმე კმაყოფილნი ჩემის სამსახურისა, მაგრამ ძალიან კი იშვიათად იღებდით ჩემს რჩევას. ხშირად გითქვამს ჩემთვის: შენ ძალიან შორს მხედველი ხარ, მაკიაველო, შენ უნდა ისტორიკოსი გამხდარიყავი; ვინც კი მოქმედობს ის ვალდებულია აწმყოს ზრუნვისა, რაგამოვიდა? წინათვე არ გეუბნებოდი, არ დაეინახე ყველა ეს შემთხვევები?

მმართებელი.

თუმცა მეც ვხედამდი, მაგრამ ვერსად ვერ ვპოვებდი ღ ნის ძიებას ბოროტების აღმოსაფხვრელად.

მაკიაველი.

ერთის სიტყვით გეტყვი, თქუენ ვერ შეგიძლიანთ: ხელი აალებინოთ ახალი სარწმუნოებისაგან, ნუ სდევნის მათ მოამორეთ ესენი ჭეშმარიტ კათოლიკებთ, მიეცით ეკკლესიები, შეიყვანეთ სამოქალაქო რიგში და მხოლოდ სამძღვარი დაუდეთ და თქუენ ერთბაშათ დაამონებთ ამღვრეველთა. სხუა ყველა ღონისძიებანი იქნებიან ტყუილნი და გაოხრე-

ათ მხარეს.

მმართებ.

განა შენ არ გახსოვს, რა დრტვინვით ჩემა ძმამ განა-ზდო კითხვა: არუნდა მივეცით ნება ახალის სარწმუნოების სწავლისა? მენიცი რომ ყველა წიგნში თავს მადებს ყოვე-ლის ღონის ძიებით დაცვას მართლ სარწმუნოებისასა. ნუ თუ შენ არიცი რომ ის არ ისურვებს არც ერთობას, არც მშვიდობას სარწმუნოების საზარალოთ? განა არა ჰყავს დაჭერილნი ამბის შიმტანნი პროვინციებში, რომელთაც ჩვენ ვერ ვიცნობთ, რომელნიც ამცნობებენ იმათ, ვისა სურს მიღება ახალი სარწმუნოებისა? განა არ გვამცნობე-ბენ ხოლმე, ჩვენს დიდს გასაოცრად, რომ იმასა და იმასა, ჩვენს ახლო მდგომ პირთაგანსა, ჩუმათ მიუღია ერესი? განა არ თხოულობდა ჩემგან სასტიკად მოკიდებასა, მიუდ-რეკილობას? მეკი უნდა დაუთმო? მე იმას შევაძლიო შებ-რალება? არ დავჰკარგამ ყველა იმის მონდობილებას ჩემზედ?

მაკიავ.

ეგ ყველა კარგათ ვიცი,—კოროლი გიწერთ, კოროლი გაცნობებს ყველა თავის განძრახვას, იმასა სურს რომ თქვენ ჩამოაგდოთ სიმშვიდე და მორიგება იმ ღონის ძიე-ბით, რომელსაც მხოლოდ შეუძლიან უფრო უმეტეს და უმეტესად გააბრაზოს გონება და მრთელს მხარეს აშალოს ომი. მოიფიქრეთ, რას ჩადიხართ? ვაჭარნი, კეთილშობილნი, ხალხი, სალდათები და ყველანი მზათ არიან ახალი სარ-

წმუნოება მიიღონ. განა უშველის რასმეს თავის ჰაზრზედ მტკიცედ ყოფნა, როდესაც გარემამო სული მეიცვალა? ახ! რაიქნება რომ ამ კეთილმა ფიქრმა გაუაროს ფილიპეს თავში: უმჯობესია კოროლისათვის მფლობელობა სხუა და სხუა სარწმუნოების მყოფს ხალხზედა; ვიდრე ერთი ნახევრის ამოწყვეტა მეორის ნახევრითა!

მმართებელი.

ამის შემდეგ აღარ გაბედო მაგგვარი ლაპარაკი; პოლიტიკა, მე კარგათ ვიცი, იშვიათად ეთანახმება კანონებს პატიოსნებისას და სარწმუნოებისას; მე ვიცი რომ ის გულიდგან აგდებს სიწმინდეს, წრფელობას და სიბრალულს, საერო საქმეებში, გულის შეტკენით უნდა ეთქუა — ეგრეა; მაგრამ შეიძლება რომ ღმერთსაც ისე ვეთამამოთ, როგორც ვეთამაშებით ერთმანეთს? ნუ თუ გულ გრილათ უნდა მოვეკიდოთ იმ მტკიცე და ჭეშმარიტს სარწმუნოებას, რომლისათვისაც შევუწირავთ მრავალთ თავიანთი სიცოცხლე? ნუ თუ უნდა შევცვალოდ სხუა ახალზედ, უმტკიცოზედ, რომელიც თავისივე წინაღმდეგია.

მაკიაველი.

იმედი მაქუს ჩეზედ ცუდს არას იფიქრებთ ჩემის ლაპარაკისა გამო.

მმართებელი.

გიცნობ შენ და ვიცნობ შენს ერდგულობას და მასთანავე ვიცი რომ, შეიძლება იყოს კაცი პატიოსანი და კეთილ

გონიერი, მაგრამ არ მიდიოდეს იმ სწორე გზაზედ, რომელიც მხოლოდ მიიყვანს სასურფეველში. შენ გარდა მაკიაველო, არიან კიდევ, რომელნიც ძვირფასნი არიან ჩემთვის და რომელთაც არ შეუძლია, არ დაემდურო.

მაკიაველი.

ვიზედ შრძანებდ მაგას?

მმართებელა.

ხწორე გითხრა დღეს ეგმონტმა ძალიან ღრმათ მაწყენინა.

მაკიაველი.

რით

მმართებელა.

თავისის თავისებურის დაუდევნელობით და მსუბუქობით. როდესაც გამოვდიოდი ეკკლესიიდგან და თან მახლდნენ მრავალნი, თვით ეგმონტიც, მაშინ მივიღე ეს საშინელი ამბავი. მე ვერ შევსძელი დამალვა ჩემის ამ ამბვის გამო, შეწუხებისა—მაღლა ხმით შევჩივლე და უთხარი: აი რაები ხდება თქვენზედ მინდობილს პროვინციებში და მიკვირს როგორ არ ალუკრძალავთ თქვენ გრაფო, რომელზედაც კოროლს აქვს დიდი იმედი?

მაკიავ.

რაპასუხი მოვცათ?

მართებელა.

ისეთი პასუხი მამცა, რომ გვეგონებოდათ ერთობრალო საქმეზედ, უცხო საგანზედ ყოფილიყო ლაპარაკი.—ღმერთმა

ჰქნასო — მითხრა იმან — რომ პირველად ნიდერლანდელები იყვნენ დაკმაყოფილებულნი მათის უფლებაების მიცემითო, სხუა ყველა თავის თავად გაკეთდებაო,,

მაკიაველი.

მაგ სიტყუებში უმეტესი სისწორეა, ვიდრე კეთილ-გონიერება დასიმდაბლე. შესაძლებელი არის ნდობა, როდესაც ნიდერლანდელი ხედამს რომ საქმე მიდის უფრო იმის ქონებაზედ, ვიდრე იმის ჭეშმარიტს სიკეთეზედ — სულის ცხონებაზედ? ახალმა ეპისკოპოზებმა უმეტესად არ შეშჭამეს ხალხი, ვიდრე აცსოვნეს სულები? გარდა ამისა უმეტესნი მათგანნი არარიან გარეშე მხარისანი? აქამდისინ შტატლალ-ტრების ალაგები ეჭირათ ნიდერლანდელებს, მაგრამ ცხადათ არა შჩანს, რომ გაუმაძღარნი ისპანიელები იწვიონ მოუთმენლობით დაიჭირონ ეს ალაგებიც? ხალხს უყვარს, რომ მმართებლად იყვეს თავისი მემამული, მტკიცე თავის სამშობლო ჩვეულებაებზედ, და არა გარეშე, რომელიც მოდის იმ ჰაზრით, რომ გამდიდრდეს სხვის ხარჯზე, ყველას ზმანავს თავისის საზმონავით, არა აქვს მიზიდულება თავის ქვეშევრ-დომზედ დაუგრძნოთ მფლობელობას მათ ზედ.

მმართებელი.

შენც ჩვენის წინააღმდეგების მხარეს იჭერთ?

მაკიაველი.

გულით რასაკვირველია — არა და მსურს რომ გონებაც ჩემი იყოს სრულებით ჩვენს მხარეს.

მმართებ.

მაშ შენის ფიქრით, უმჯობეს არას არა ვიქ მე როგორც ავილო და გადავცე ჩემი უფლება ეგმონტს და ორანელს, რომელიცა დიდი ხანია სურთ დაიჭირონ ჩემი ალაგი? როდესღაც იყვნენ ერთი ერთმანეთის წინააღმდეგნი, ეხლა კი ორივე ჩემი წინააღმდეგნი არიან,- შექნენ მეგობრები გაუყრელი მეგობრები.

მაკიაე.

სამიში წყეილია!

მმართებ.

სწორეთ უნდა ვთქვა, მე დიდი ეჭვ მაქვს ორანელზედ და მეშინიან ეგმონტისათვის. ორანელი კარგს არაფერს აპირობს, იმისი ფიქრნი მორს ჰფრინავენ, ყოველთვის იდუმალია, თავს იმალავს, თანახმაა ყველაზედ, არას დროს არ მიწინააღმდეგებს და დიდის ღრმა მორჩილების სახით, არ დასაჯერებელის გაფრთხილებით აკეთებს ყველას ისე, როგორცა სურს.

მაკიაე.

ეგმონტის ქცევა სულ სხვანაირია—არას არ მალავს იქცევა ისე ვითომც მთელი ქვეყანა იმას ეკუთვნოდეს.

მმართებ.

ისე მაღლა იწევს თავს, რომ გეგონება, სრულებით არ იყოს მისის დიდებულებითის ხელქვეშ.

მაკიაე.

მთელი ხალხი იმას შესცქერის და იმაზედ უძევს გუ-ლიც.

მმართებ

ის არას დროს არაცდილობს ეჭვს მოუტანლობას, ვი-თომს არავისთან პასუხის მგები არ იყოს; უწინდებულადვე ისევ ისახელება ეგმონტად და ისე კმაყოფილია ამ სახელი-სა, რომ სჩანს არა სურს დაივიწყოს, რომ მაგის წინა პი-რნი ყოფილან მფლობელნი გელდერნისა; რატომ არ ით-ქმევს გაერის კნიაზობას, როგორათაც რიგია? რატომ? იქ-ნება ფიქრობს განახლებას თავის განქრობილის უფლები-სას?

მაკიავ.

მე იმას კოროლის ერთგულ მოსამსახურედ ვრიცხამ.

მმართებელი,

თუ რომ სურვილი ჰქონდეს, როგორ ადვილათ შეუძლი-ან მმართებლობისაგან მადლობის მიღება ჩუენის მუდამის წყენის მაგიერათ, რომელიც არ მოუტანს იმას არა რა სარგებლობას. იმისმა ყრილობამ, პეჯლისებმა და უქმობამ უმეტესად შეაერთეს ერთი ერთმანეთთან და შეჰკრეს კეთილ შობილნი, ვიდრე შეეძლო თვთ უსაშიშრესს დაფარულთ საზოგადოებაებს. თავისის სადღეგრძელოებით ურევს სტუმ-რებს გონებას და გამოუნელებელს თაუბრუს ახუევს მათ. რამტელ-ჯერ თავისის მასხარაობით მოუყვანია ღელვაში? ხალხის გონება და გაუოცნებია ხროვა ხალხისა ახალის

ლივრეებითა და სამასხარო ნაკერის ტანისამოსებით თავისის მოსამსახურეებისა!

მაკიაველი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ის მაგაებს არაფერ დანიშნულებას არ აძლევს.

მმართებელი·

ეგეც საკმაოა· როგორც გითხარი: ჩვენ ის ენებავს გვაძლევს—გვავნებს ყოველის თავის თავს უსარგებლოდ, ის ხუმრობად აგდებს უპირატესს საქმეებს და ჩვენ კი, რომ არ ჩავვაგდოთ უზრუნველად და უსაქმურად, თვით ხუმრობაც უნდა მივიღოთ უპირატეს საქმედ, ასრე ერთი გამოდის მეორიდგან და ის, რისაც ჩვენ ვცდილობდ ავიცილოდ, დადება ხშირად აუცილებელი. ის უმეტესი საშიშია ვიდრე რომელიმე გამოჩენილი თავი შეთქმულებისა და მე დარწმუნებული ვარ, რომ სახელმწიფოს კარისანი იმის მოქმედებაებს მიიღებენ საქმოთ. გიტყდები რომ იშვიათათ დღე გავა ისე, რომ არ მაწყენინოს, ძალიან ღრმათ.

მაკიაველი.

მე ეგონებ, რომ ყველაში იქცევა სვინიდისიანათ·

მმართებ.

იმისს ვინდისს უჭირავს იმის წინ მეცდომილების სარკე. იმისი ყოფა ქცევანი არიან საწყენნი. ის ისეთ ნაირად გამოიცქირება ბევრჯერ, რომ გეგონება, სრულებით დარწმუნებულ იყოს იმაზედ, რომ აქ ის არის უფალი ყველასი და

სურს არ გვაგრძნობინოს, არ გვრევამს პირ დაპირ ჩვენ აქედგან მხოლოდ მოწყალებისაგამო და იცდის რომ ყველა ეს თავის თავათ მოხდეს.

მაკიაველი·

მე გხოვთ რომ არ მიიღოთ იმის გულ-წრფელობა და ბედნიერი სისხლი, რომელსაც შეუძლიან ყოველის უპირატესის მსუბუქად მოკიდება, საშიშრად. თქვენ მაგით ვნებთ მხოლოდ თქვენ თავსაც და იმსაც.

მმართებელი.

მე არვიღებ. ვამბობ მხოლოდ აუცილებელ მედგომილე ბაზედ. მე ვიცნობ იმას. იმისი კეთილშობილი ნიდერლანდელი ჯვარი, ოქროს მარტყის ოდენი, რომელიც ჰკიდია გულზედ, უმაგრებენ იმას გულსა და შებედვას. ორთავეს შეუძლიან დაცვა უცეფი კოროლის თავის ნების განრისხებისაგან; აბა კარგათ გაშინჯე: ის არარის მარტო ყოველის ფლანდრიის უბედურების მიზეზი? იმან პირველმა მიიღო მოწყალებით გარეშედგან მოსულნი მოქადაგებლები, ყური არ უგდო და იქნება კიდეც ჩუმათ უხაროდა რომ მოგველოდა ჩვენ ახალნი ზრუნვანი· დამაცა, დამაცა—სულ რაც დამგუბდა გულში ყველას გამოვთქვამ. ისარი ჩემი მოხვდება მიზანს; მე ვიცი იმის სუსტი მხარე; ისიც გულ ჩვილია

მაკიაველი·

უპძანევით მეკრება რჩევას (სოვეტს?) ორანელიც მოვა?

მმართებელა.

გაგზავნე ანტვერპენში იმის დასაძახებლად. მე მინდა პასუხის გება დაიდოს მათვე თავზედ—თუ იმანაც ჩემთან მიიღოს ღონის ძიებანი აღმოსაფხვრელად ბოროტებისა, ან არა და ცხადათ აღზდგნენ ჩვენზედა.—წავი ეშურე დაწერა წიგნებისა და მაიტანე ხელის მოსაწერად და მერმე ნულარ დააგვიანებ, გაგზავნე მადრიდში ჩვენი ერდგული ვასკოს ხელით—გამრჯე და მტკიცე ჩვენი. დაე ჩემმა ძმამ გაიგოს ყველა ფლანდრიის ახალი ამბავი, მინამ ხმა მისელია. წასვლის წინათ მსურს პირათ იმასთან ლაპარაკი.

მაკიავე.

თქუენი ბრძანებანი იქმნებიან მსწრაფად და ყოველსავე სინამდვილედ უსაცილოდ შესრულებულნი.

სცენა—3.

მდაბალი მოქალაქის სახლი.

კლარა, ამისი დედა, ბრაკენბურლი.

კლარა.

შულოს არ გამიწევ ბრაკენბურლო?

ბრაკენბურლი.

თუ ღმერთი გრწამს თავიდგან მომაშორე კლარავ!

კლარა.

რა მოგეჩვენა კიდევ, რატომ არ მისრულებ ამ პატარა სამსახურს?

ბრაკენბურლი.

შენ ისეც ისეთ ნაირათ მაკრავ ხ..ლმე ძაფით ალაგს, რომ მე შენ წინამდგომი, ვეღარ შევიძლებ ხოლმე, მოვშორდე შენს თვალებს.

კლარა.

ნუ როხამ! მოდი გამიწი!

დედა (მჯდომარე ქსოვს)

ერთი იმღერეთ რამე და! ბრაკენბურღმა კაი ბანის მიცემა იცის. ადრე ძალიან მხიარულები იყავით და ბევრსაც მაცინებდით ხოლმე.

ბრაკენბურ.

დიახ, როდესღაც!...

კლარა.

ვიმღეროთ მაშ რაღა!

ბრაკენბურღი.

რისაც სურვილი გქონდეს.

კლარა.

გთხოვ მხოლოდ სიმხიარულით, მარჯვეთ, ჩემი საყვარელი, სოლდათური სიმღერა [ახვევს–და თან მღერობენ.]

აგერ ხმა მოდის დალაბანდების
სუთ! ფლეიტაც უშტვენს
ჩემი საყვარელი
საომრის ჯარით მიჰფრენს?
შებით ის მიდის . . .
ოხ! როგორ გული მისცემს

ღელდება სისხლიც.
რომ ვყოფილიყავ მეც მხედარი,
იმასთან ერთად დავესხმოდით მტერს.
ჩაშარვლებელი, ზურქვეშ, ფიცხელსა ცხენზედა
თან ვახლდებოდი იმას ყველგანა ომში.
ვესვრით: მარცხდება მტერი . . .
ოჰ! რა ბედნიერებაა
ვაჟიკაცად ყოფნა!

ბრაკენბურლი სიმღერის დროს თვალს არ აშორებს კლარას, გათავების დროს ხმა ეცვლება, თვალები ევსება ცრემლებით, ხელიდგან ვარდება შულოს, დგება და მიდის ფანჯარასთან. კლარა ასრულებს სიმღერას მარტო, დედა აჩვენებს ნიშნებით კლარას თავის უკმაყოფილებას. კლარა დგე ბა, ზედ დგამს რამთელსამე ნაბიჯს ბრაკენბურლისაკენ, ტორტმანით ბრუნდება უკანვე და ჯდება იმალოგსვე,

დედა.

ეჰ! რა ხმაურობაა ქუჩაში ბრაკენბურლო? ვითომც სოლდათები მიდიოდნენ

ბრაკენბურლი.

მმართებელას დამცუელები არიან.

კლარა.

ამდროს? რაუნდაიყოს? [ახტება და მიირბენს იმ ფანჯარასთან, სადაც ბრაკენბურლი დგას.) ეს ჩვეულებრივი ყარაულებს არ გვანან. . . ძალიან ბევრნი არიან! დიახ, ბევ-

რია, თითქმის ყველა პოლკებია! ბრაკენბურლო წადი ერთი შეიტყვე რაამბავია, აქ ერთი რამ სხვა ამბავი უნდა იყოს! წადი გეთაყვა ჩემი გულისათვის!

ბრაკკენბურლი.

მივდივარ და ეხლავ მოვბრუნდები [წასვლისდროს გაუშ-ვერს ხელ,სკლარაც მისცემს თავისას)

დედა.

აი კიდევ გაისტუმრა.

კლარა.

რაექნა, ხომიცი, რომ ცნობის მოყვარეევარ და გბრძა მისაც, სწორეთ გითხრა, იმის აქ ყოფნა ძალიან მაწუხებს. არ ვიცი სწორეთ, როგორ უნდა მოვექცე იმას. მე დამ ნამავეცა ვარ დავწუხვარ კიდეც, როდესაც ვხედავ რომ ის ამას ცხადათ გრძნობს; მაგრამ, რაექნა, რით უშველო?

დედა.

ის იმისთანა კარგი ახალი ჯაზდა.

კლარა.

აი მაგიტომაც ვექცევი მეგობრულად. ჩემი ხელი უნ:ბ-ულით უჭირს, როდესაც ის თავის ხელს მაძლევს. მე თითონ ვძრახავ ჩემს თავს, რომ შემყავს მეცთომილებაში და ტყუილად ვაიმედეულოებ იმის გულს. მე ვიტანჯვი; მაგრამ ხომ იცის ღმერთმან, რომ მე იმას არ ვატყუებ.

მე მინდა რომ ის არ იმედეველობდეს და არც შემიძლია კი მე რომ სრულებით იმედი გაუწყვიტო.

დედა.

კარგი არარის ეგ.

კლარა.

მე აქამდინაც მომწონდა ისა და ეხლაც გულითა და სულითა მსურს იმისთვის კეთილი. შემეძლო კიდეც მით-ხოვებულ ვიყავ, მაგრამ მაინც ვფიქრობ, ჩემს დღეში არა მყვარებია ისა.

დედა.

ბედნიერი იქნებოდი შენ იმასთან.

კლარა.

რასაკვირველია ვიქნებოდი მიკედლებული და მექნებოდა მშვიდობიანი ცხოვრება.

დედა.

და ეგენი ყველა იკარგება შენის დამნაშაობით.

კლარა.

გასაკვირველ მდგომარეობაში ვარ! როდესაც ვფიქრობ წარსულზედ დავკითხამ ჩემს თავს. როგორ მოხდა ყველა ეს—თუმცა კიდეც კარგათ ვიცი, მაგრამ კი კიდეც არ ვიცი; და როგორც მევხედამ თუ არა ეგმონტს—მაშინ ყველა მესმის უცხადესზედ ცხადათ. ოხ, რა კაცია! ყველა პროვი-ნციები თაყვანსა სცემენ, და ნუ თუ მე, იმისი ხელში, არ უნდა ვიყო უბედნიერესი ყველა განჩენილზედ?

დედა.

რ ლაც მოგველის ჩვენ მომავალში?

(ეგმონტი. ტრაგედია გეტესი.)

კლარა.

მე, მე მხოლოდ ამას ვკითხულობ! უყვარვარ მე იმას თუ არა?; და ნუ თუ კიდეც ეჭვი კი უნდა მქონდეს ამაზედ?

დედა.

შვილებისაგან გარდა ჯავრისა და შეწუხების მეტს ვერა რას მოელი. რითი მორჩება ყუჩლია ეს? სულ მწუხარება, კარგს არას მოგვიტანს. შენ შენი თავი გაიუბედურე და მეც.

კლარა [ცივად)

წინა პირველად თქუენვე არ მამეცით ამისი ნება?

დედა.

საუბედუროდ ჩემის კეთილობისაგან მამივიდა. მე ყოველთვის კეთილი ვარ.

კლარა.

როდესაც, იქნებოდა, ეგმონტი გაივლიდა ჩვენს წინ და მე ვეცემოდი ფანჯარას, მიმლიდით ხოლმე ამას თქუე, ნუ? არ მოდიოდით ხოლმე თქუენც ფანჯარასთან? როდესაც ის დამიწყებდა ცქერას, მიცინოდა, მიკრავდა თავს. მიგზავნიდა კოცნას სიამოვნებით არ იღებდით ხოლმე თქუენ? სასიამოვნოთ არ იყო თქუენთვს, რომ რაცხავდით თქუენ თავსაც მონაწილეედ იმ პატივისა, რომლისაც ღირსეული ხდებოდა თქუენი ქალი?

დედა.

დამაყვედრე კიდეც, დამაყვედრე.

კლარა (გრძნობით.]

როდესაც იმან იწყო ჩვენკენ ხშირად სვლა და ჩვენ ვიგრძენით რომ მარტო ჩემის გულისათვს დადიოდა აქეთ კენ, თქვენ თითონ არ მიიღეთ ესა დაფარულის სიხარულით? განა მიშლიდით ხოლმე ფანჯარასთან დგომას და იმის მოლოდინებას?

დედა.

განა მოვიფიქრებდი, რომ აგრე მორს წაგიყვანდა?

კლარა (ნაწყვეტ ნაწყვეტის ხმით, ცთილობს შეიკაოს, ცრემლები.]

მოიგონეთ ის სალამო, როდესაც პლიშში წასრულმა შემოგესწრო ფისოსიწინ მხდომსა, ვინ პირველი მეგება მოასალეოპად, როდესაც მე უკონოდ ვიდე, მიკრულსავით, ჩემს სკამზედ?

დედა.

განა კი საფიქრებელი იყო, რომ ჩემს გონიერს კლარას ეგ, საუბედურო სიყვარული განიტაცებს აგრე მალე რადა დამრჩენია, უნდა მოეითმინოთ, რომ ჩემი ქალი...

კლარა.

დედავ თქვენ უთუოთ ეგ გინდათ, თქვენთვს სასიამოვნოა ჩემი ტანჯვა!

დედა (ცრემლებით]

იტირე, იტირე! განხმრაელე ჩემი წვალებანი შენის ტი-

რილით, განა არ მეყოფა ის ნაღველი, რომ ჩემი დედისერთი ქალი შეიქნა განგდებულს არსებათ?

კლარა (ადგება და ცრეად.)

განგდებულ არსებათ? ეგმონტის საყვარელი—განგდებული არსება? რომელ პრინცესას არ შემშურდება დაიჭიროს ის ალაგი ეგმონტის გულში, რომელიც უჭირავს ღარიბს ბლარას! ო, დედაე, დედავ! თქუენ არას დროს არ გილაპარაკნიათ ეგრე: საყუარელო დედავ შემიბრალე! რას დავდევ მე ხალხის ლაპარაკს მეზობლების ბუტბუტს! ეს ოთახი, ეს სახლი, მაშინ შეიქმნა სამოთხედ, როდესაც აქ დასახლდა ეგმონტის სიყვარული!

დედა.

მართალია, არ შეიძლება არ მეიყვაროს იმისთანა კაცი· ყოველთვის პატიეის მცემია, მოალერსე და გულწრფელი·

კლარა.

იმაში არარის ჩრდილიც კი მცბურებისა! დედავ! ის დიდი ეგმონტია! როდესაც იმყოფება ჩემთან როგორ საყვარელია, როგორ კეთილი! როგო მზათ არის შემამწირო თაეისი ხარისხი, თაეისი სიმამაცე! როგორ მიფთხილდება მაშინ ხდება ის სწორედ კაცად, მეგობრად დასაყვარლად

დედა.

დღეს მოვა?

კლარა.

განა ვერ ხედამთ რომ მალიმალ მიედიეარ ფანჯარასთან

ტაია ვერ შენიშნეთ როგორ ყურებსა ვცქვეტამ, როდესაც კარების ხმა მესმის? თუმცა კარგათ ვიცი რომ ის არმოდის მინდამდინ, მაგრამ კი დილას აქეთ ყოველ მინუტს მოველი ოჰ! ბიჭი რომ ვყოფილვიყავ ყველგან ვდევნებოდი თან—სასახლეშიაც და თვით ომშიაც ბარრალით!

დედა.

შენ ყოველთვს მაგრეთი დაუდეგარი ყოფილხარ. პატარაობისას ხან ვერავინ დაგიმაგრებდა ხოლმე, ხანკი ძალიან დაფიქრებული იყავი. რაშერები, არ ირთობი?

კლარა.

იქნება' თუ მომეწყინება მაშინ მაგათი გავერთობი· გუშინ, დედაო იფიქრეთ, მოდიოდნენ აქეთკენ იმის მსახურები და იმის ქებას მღეროდნენ.. რაც უნდა იყოს ამ სიმღერაში იხსენიებოდა იმის სახელი—სხუა კივერაგავიგერა! გული თითქმის ყელში მამებიჯნა და რომ არ შემრცხვენოდა დაუძა; ხებდი იმ ხალხს აქა.

დედა.

შენს თავს გაუფრთხილდი! შენი სიფცხე ყველას აფუჭებს შენი ხელითვე იჭრი შენს თავს. იმ წინაზედაც ჩუჩნებიანცა დაინახე თუ არა ის ხატი (კარტინა)და იმის აღწე .მაღლა ხმით.

შეჰყვირე:„ გრაფი ეგმონტი,,! მე მაშინვე ალმულმა ა ..კრო პირის სახეზელ·

კლარა.

არა, როგორ არ უნდა დამეყვირა, როდესაც იმაზედ იყო გამოსახული გრაველინგენის ომი! მაღლა დავინახე ასოენი, მოვნახე ეს ასო ალწერაში და წავიკითხე ეს: გრაფი ეგმონტი, რომლის ქუშმაც მოუკლამთ ცხენი,, ჯერ ჯი შევიკრათ, მაგრამ მერმე კი ველარ დავიჭირე სიცილი, როდესაც ვნახე რომ ეგმონტი იმ კარტინაზედ იყო უფრო მაღალი ვიდრე გრაველინგენის კოშკი და ანგლიჩნების გემები. როდესაც მოვიგონებ, როგორ ვიცხადებდი ხოლმე ომსა და როგორ, პატარა ჩემი გოგოობის დროს, გამოვისახამდი გრაფ ეგმონტის თქუენ ლაპარაკის დროს იმაზედ, ყველა კნიაზებზედ და გრაფებზედ, და როდესაც შევადარებ იმ გამოცხადებაებს ეხლანდელთან! . . .

(შემოდის ბრაკენბურლი)

კლარა.

რაქენ, რა შეიტყვე?

ბრაკენბურლი.

სწორეთ არავინ არაიცისრა, ამბობენ ფლანდრიაში ალრეულობა მომხდარაო და მმართებელას მიუღია ლონისძიებანი, რომ აქაკ არა მოხდესრა. ციხე დარბაზს გარეშემო არტყამს ჯარი, კარებთან შეგროვილან მოქალაქენი, ქუჩები სავსეა ხალხითა; წაველ დავხედამ ჩემ მოხუცებულს მამას. (აჩუენბს რომ სურს წასვლა)

კლარა.

ხუალ ვნახამთ ერთმანეთს? მინდა ტანისამოსი გამოვიც-

ქალო, მოველი ბიძას და მე კი ესე უბრალოთა ვარ ჩაც-
მული. დედაო მიმეელე შენცა გამოცვლა. ბრაკენბურღისა წა-
იღე ეს წიგნი და მამიტანე ამისთანა მოთხრობა კიდევ

დედა.

მშვიდობით,

ბრაკენბურღი (ხელს გაუშვერს გამოსართმევად კლარას)

თქუენი ხელი!

კლარა [თავის ხელს არ მისცემს]

ხვალ, როცა ვნახამთ ერთმანერთს.

(დედა და ქალი გადიან)

ბრაკენბურღი (მარტო]

დაეაპირე წასელა—და აი, როდესაც ვხედამ რომ ის გულ-გრილათ მიცლის აქედგან, არ მიჭირს—ლამის ჯავრით გავსკდე. უბედურო! ნუ თუ ხვედრი მამულისა არ გაწუხებს შენ? გულ გრილათ უცქერთ, როდესაც გარემემო იწვის და მთელს მამულს ეკიდება ცეცხლი? განა შენთჳს სულ ერთია ისპანელი და მემამულე, ვინა ფლობელობს და ვის აქუს უფლება მფლობელობისა? სულ სხუა ყმარწვილი იყავი! შკოლაში ყოფნის დროს! როდესაც იყო ხოლმე მჭევრ მეტყუელობის განკვეთისათჳს გვაძლევდნენ დასაწერად: "სიტყვა ბრუტისა თავის-უფლებაზედ, ფრიცი ყოველთჳს არ იყო პირველი მაგირდებში? რეკტორი იტყოდა ხოლმე: სასურველო რომ იყოს მეტი წყობიერება ამ თხზულებაში და არიყოს ესე არეული, ოხ! მამინ ვდუღდი და „[illegible]"

დიოდი! ეხლა კი ფეხქვეშ დავცოცამ ამ გოგოს წინ. განა არ შემიძლიან თავი დავანებო? ამ იმას არ შეუძლიან ჩემი შეყვარება? ახ! არა, არა იმას არ შეუძლიან სრულებით განმაგდოს. . . სულ ტყვილია! მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან! ნუ თუ უნდა ვერწმუნო იმას რაც იმდღეს ჩემმა ამხანაგმა მიჩურჩულა? ვითომც ღამ ღამით იღებდეს ის კაცს, ის რომელიც ყოველთვს მისტუმრებს რაკი ბინდდება. არა! სიცრუეა! ცილის დაწამება! კლარა ისე უბრალოა, როგორათაც მე უბედური. განმაგდო იმან, გულიდგან ამამირეცხა, ამის შემდეგ კიდევ შემიძლიან ვიცოცხლო? მეტის ატანა აღარ იქნება, აღარ შემიძლიან. მამული აღელებულია ერთი ერთმანერთზედ ომითა და მე კი უგრძნობლათ უნდა უყურო ამ აღრეულობას? ამას ვერ ავიტან! როდესაც მესმის საკრავის ხმა და თოფის სროლა ცეცხლი მედება და ვქრიალებ მთელს ტანში— და მე კი ვგდივარ ესრე, ვერ მივჰფრენ ჩემს ამხანაგებთან ერთად მტერზედ, რომ დავიხსნა ჩუენები! საძრახავი, საბრალო მდგომიარეობაა! უმჯობესი იქნება რომ ერთბაშათ მოუღო ყველა ამას ბოლო! რამტელიმე დღის წინათ დავიპირე დახრჩობა, ჩავარდი წყალში, თითქმის ძირამდინ მივატანე, მაგრამ დაბადებითვე დაყოლილმა შიშმა აჯობა ჩემს ნებას, მომაგონდა რომ ცურვა ვიცი და უნებლიედ გამოვცურდი ნაპირზედ. ოხ რატომ არ შემიძლიან დავივიწყო ის დრო როდესაც იმას უყვარდი. ,

მეგონა მაინც, რომ უყვარვარ? რაო გამიჩნდა ძვალში და

ხორცში ეს ბედნიერება? რისათვს იმ იმედებმა, რომელთაც მხოლოდ შორიდგან დამანახვეს სამოთხე, მომიხიბლეს ცხოვრება? პირველი კოცნა! ოხ პირველი და უკანასკნელი!... აი აქ (ადებს ხელს სტოლზე,] სწორეთ ამ ალაგს, ვისხედით მარტონი . . . ის ყოველთვის მექცეოდა კეთილად და ალერსიანად, მაგრამ მაშინ, როგორც შევნიშნე, უფრო ნაზათ და გულ შემტკივნეულობით მეკიდებოდა, უცებ შემამხედა ჩუმათ—გონება ამერია და ყველამ გარე მემოიწყო ტრიალი და მაშინ ვიგრძნე, რომ იმისი ტუჩები მოხვდნენ ჩემსას. ეხლა კი . . . ეხლა! მოკუდი, უბედურო! რაღას ელი? [იღებს ჯიბიდგან შუშას] მე ტყვილად არ ამოგიღე ყუთიდგან ჩემი ჰექიმი ძმისა, საწამლავს დამხსნელს! შენ შეგიძლიან ერთბაშად მოუღო ბოლო ამ კანკალს, თავბრუს ხვევას და გამტანჯავს სიკუტილის ოფლს.

მოქმედება მეორე

სცენა **1**—ლი.

მეიდანი ბრუსსელში.

იეტტერი და დურგალი [შემოდიან ერთად)

დურგალი.

ადრევე არ გითხარ? ამ რვა დღის წინათ ჰამქარში ეთქვი—უნდა მოხდეს ალრეულობა!

იეტტერი.

განა მართლა გაუცარკვეიათ ყველა ეკკლესიები ფლანდრიაში?

დურგალი.

წმინდათ! ისე გაუყვლეფიად ეკკლესიები და სამრეკლოები, რომ მხოლოდ ტიტველა კედლები დარჩენილა. საძაგლები! აი, ჩუენმა კეთილმა განძრახვამ ფუჭათ ჩაიარა, გვინდოდა მივსულიყავით მმართებელთან და გვეთხოვნა როგორც რიგია ჩუენი უფლებაების და პრივილეგიების მოცემა; ამა მოდი ეხლა და ხმა ამოიღე და შეჰყარე ხალხი, ვინ იცის ამღერეეელებათაც ჩაგვაგდონ.

იეტტერი.

ერთი ეს იფიქროს ყველამ: თუ სად ეჩრები მაგ შენის ცხვირით? ხომ კისერიც შორს არ არის მაგისაგან.

დურგალი.

სამწუხარებაა როდესაც მდაბალი ხალხი ალაძვრის, საზარელი ხალხი, რომელიც არაფრის დაკარგვას არ მოელის. ჩუენს მართალთ მეძიებლობაებს მოილებს ეს ხალხი. მიზეზათ აღრეულობისა და დაღუპვის მხარეს.

(შემოდის სოესტი)

სოესტი.

გამარჯვება უფალნო! ახალი რაამბავი? მართლა ის ეკკლესის მკრებლები ჩუენკენ მოდიან?

დურგალი.

დაე მობძანდნენ; ისინი აქ თავიანთ სასუკანს ვერას იპოვნიან.

სოესტი.

ჩემ დუქანში შემოვიდა ერთი სოლდათი, თუთუნის სა-ყიდლათ, მე ყველა გამოვკითხე. ჩუენ მმართებელას, რომე-ლიც ყოველთვის გულ მაგარი და კეთილ გონიერია, სულ დაუკარგავს ეხლა გონება; საქმეები უთუოთ ცუდათ მიდიან, რომ ისიც იმალება თავის გვარდიის უკან. ციხე დარბაზი სავსეა პოლკებით; ამბობენ მიდისო აქედან.

დურგალი.

ვერ არის კარგი, აქედგან ის არ უნდა წავიდეს! იმისი აქ ყოფნა ჩუენ გვფარავს, ჩუენ უმეტესად შევიძლებთ იმის დაცვას, ვიდრე იმისი გძელ ულვაშებიანი სალდათები, და თუ დაგვიბრუნა კიდეც ჩუენი უფლებაები და პრივილეგი-ები, მაშინ ხომ სულ ხელში აყვანილი ეპატარებთ!

[შემოდის საპნის მხარშავი.]

საპნის მხარშავი.

ცუდი საქმეები მამხდარა! საძაგელი! აღრეულობა ყოფი-ლა, სულერთიანათ გადმოუბრუნებიათ! გაფთხილდით, ჰა კრინტი! თორემ ამღვრეველათ ჩაგაგდებენ.

სოესტი.

აი ბატონო, ესეც უთუოთ ერთი იმ შვიდ საბერძნე-თის მეცნიერთაგანია!

საპნის მხარშავი.

მე ვიცი რომ, აქ ბევრნი არიან, რომელთაც დაფარუ-

ლად კავშირი უჭირამთ კოლვენისტებთან [ახალი სჯულის მორწმუნეებთან,) აგინებენ ეპისკოპოზებს და არ ეშინიანთ კოროლისა. ჭეშმარიტი ქვეშევრდომი —ფრანგების რჯულის მორწმუნეა. [ცოტა, ცოტა ემატება ხალხი სხუა და სხუა დასისა, გარშემორტყმიან მოლაპარაკეთ და ყურს-უგდებენ მათ, მემოდის ფანზენი.)

ფანზენი.

ღმერთი იყოს თქუენი შემწე, უფალნო! რას იტყუით ახალს?

დურგალი.

ხალხო! ემაგას უფრთხილდით, ძალიან ცუდი ვინმეა!

იეტერი.

დოკტორი ვიტსის მწერალი არ არის ეგა?

დურგალი.

ბევრთან გდებულა მოსამსახურეთ. პირუელად სწორეთ მწერლათ იყო, მაგრამ მერმე, როდესაც ბევრმა გამოაგდო თავისგან, ხელი მიჰყო, სიპლუტით ნახევრათ, წვრილმანი ხელოსნების ადვოკატობას და მაკლეროშას, გამოჩენილი უვარგისია.

[ხალხი გროვდება მრავალი და ჯგუფდებიან ერთად.

ფანზენი.

აი ეხლა ხომ შეიკრიბენით, შეადგინეთ საზოგადო რჩევა. რჩევა ყოველთვის სასარგებლოა.

სოესტი.

მეც მაგ ჰაზრის ვარ.

ფანზენი.

ჩუენში რომ გამოჩნდეს ვინმე, რომელსაც ჰქონდეს თავი და გულმოდგინებითაც მეუდგეს საქმეს, ჩუენ სწორეთ ეხლა, შევიძლებთ ისპანიელების ულლიდგან თავის გამოხსნას.

სოესტი.

ეი! შენ! აგრე არ უნდა ილაპარაკო - ფიცი მიგვიცია კოროლისათვის.

ფანზენი.

და კოროლსაც მოუცია ჩუენთჳს. კარგა გაიგე.

იეტერი.

დასაწყისი მისაზიდია. აბა გამოსთქუი შენი ჰაზრი.

რომელნიმე სხუებიც.

ერთი გაგვაგონეთ რამე და! ნუუმლით მაგ კაცს — მაგას ყუელაფერი გამოუცდია.

ფანზენი.

მე ვმსახურებდი ერთ მოხუცებულთან, რომელსაც ჰქონდა შენახული მრავალი პერგამენტები, ძველი ხელთა ნაწერები რომელშიაც იყო აღწერილი სხუადა სხუა დაწესებანი, წერილები და კანონთა დებულებანი; გარდა ამისა, იმასა ჰქონდა ბეური კარგი წიგნები, რომელიც იშვათად იპოება., ერთი იმ ქაღალდებისასაგან ში იყო აღწერილი ჩუენი პოლიტიკური მომართულობა, იმაში იყო მოხსენებული რომ

ჩუ'ენზედ, ნიდერლანდელებზედ, მფლობელობდნენ სხუა და სხუა თავადები, რომელნიც თანახმანი იყვნენ ჩუენის უფლებაებისა, წესდებულებაებისა და ჩუეულებაებისა ჩუენი წინა პირნი მინამდინ აძლევდნენ პატივს თავიანთს თავადს, მინამდინ ის მფლობელობდა კანონიერად; და თუ თავადები შეეხებოდნენ იმათ უფლებაებს, მაშინ იწყობდნენ გაფრთხილების ღონის ძიების მიღებას, რადგან-ც ყველა პროვინციას, რაცუნდა რომ პატარა ყოფილიყო, ყოველთჳს, ჰქონდა თავის ლანდტალი (ხალხიდგან ამორჩეულთაგნთ კრება, — დეპუტატთ რჩევა), თავისა შტატ-გალტერსტერ (სამთავარმართებლო).

დურგალი.

რა ახალ ჰამბევებს ლაპარაკობს! დააჩუმეთ! დიდი ხანია ეგენი ვიცით! ყუელა კეთილმა მოქალაქემ თავისი წესდებულება იმოდენათ იცის, რამოდენათაც იმისთჳს საჭიროა.

იეტტერი.

ნუ უშლით ლაპარაკს: როდესაც ყურს-უგდებს, რაცუნდა იყოს კიდევაც ცოტარამ მაინც მიემატება იმას, რაც იცი.

სოესტი.

სწორეთ ამბობ, სწორეთ.

ზეერნი.

თქუე, თქუე! ყოველ დღე ვერ გაიგონებ მაგისთანაებს.

ფანზენი.

ეგრეთნი ხართ, თქუენ, მოქალაქები! მარტო დღეისაზედ

ფიქრობთ; მიიღებთ თუარა სამკვიდრებელად თქუენს ხელობას თქუენის მშობლებისაგან, ყველას კმაყოფილი ხდებით და აძლევთ ნებას მმართებლობას. როგორც უნდა ისე მოგექცეთ; არ კითხულობთ ჩამომავლობას, ისტორიას და უფლებაებს თქუენის მმართებლისას; და აი, კიდეც, მაგ თქუენმა უზრუნველობამ მიგვიყვანა იქამდის. რომ ისპანელებმა უნაგირები დაგვადგეს.

სოესტი.

ვისაც კი ღლიური ლუკმა ეპოება სახლში, განა მაგაებზედ იფიქრებს?

იეტტერი.

აი, დასწყევლა ღმერთმა! რატო აქამდინაც თვალები არავინ არ ავეხილა?

ფანზენი.

მე გეტყუით თქუენ ეხლაც ამას! ისპანიის კოროლმა რომელიც მემთხვევით გარდა სუყველა პროვინციების ბრძანებელი არ უნდა თავის ნებაზედ გადააბრუნოს ყველა იმ პროვინციებში, ის ვალდებულია იმავე საფუძვლებზედ დამყარებულს კანონებით მფლობელობისა, რომლებითაც მფლობელობდნენ ჩუენი ადრინდელი თავადები. გაიგეთ კარგათ თუ არა?

იეტტერი.

აგვიხსენ კიდევ კარგათ.

ფანზენი.

ცხადია დღესავით· განა ყველა ჩუენგანს არ უნდა სჯი-
დნენ კანონებით თავისის სამშობლო ქუეყნისა? ესრეა ეხ-
ლა?

ერთი მოქალაქეთაგანი.

სწორეს ამბობს.

ფანზენი

განა პრუსსელების უფლებანი და ანტვერპენელებისა ერთი
იყო? ანუ უკანასკნელებისა და გენტის მოქალაქებისა? ეგრეა
ეხლა?

მეორე მოქალაქე.

ღმერთ გეფიცები სწორეს ამბობს!

ფანზენი,

უფრო უკეთესი მოგივათ თუ რომ წინააღმდეგი არ
გაუხდებით· ჰეი, ჰეი, რისიც მოქმედება არ შეიძლო არც
კარლ მეხუთეს, არც მეომარს ფრიდრიხს და არც კარლ
გამბედავს, იმას, მოქმედობს და ჩადის ფილიპე მეორე. და
ისიც ქალის ხელებით!

სოესტი.

ეგრეა, ეგრეა! მაგრამ უწინდელი ჩუენი თავადიშვილებიც
კი აპირობდნენ ხოლმე მაგისთანა საქმეებს.

ფანზენი.

სწორია! დიახ, მაგისათვისაც ჩუენი წინაპირნი კიდეც კი
ლაზათიანათ უძლევებოდენ. მოუვიდოდათ თუ არა უსიამო-
ვნობა რამ თავის კნიაზთან, მაშინვე ეცდებოდნენ დაეჭი-

რათ იმისი შვილი, მემკვიდრე, ჩასვამდნენ ხოლმე ციხეში და მინამდინ არ გამოუშვებდნენ, მინამ არ მისცემდნენ ამათჳს სასარგებლო პირობაებს. მამა ჩუენები კაცები იყვნენ, იცოდნენ საქმის წაყვანა, იცოდნენ, რა იყო იმათჳს სასარგებლო! აი რისათჳს ჩუენი უფლებაები ისე ცხადათ არიან გამოყვანილნი, ყველა ჩუენი სითარხნენი ისე არიან გულსავსე საწინდარენი.

საპნის მხარშავი.

რაებს ყმედობს ეგ სითარხნეზედ;

ხალხი.

სითარხნე! პრიველიგიები! გვითხარ რამე კიდევ ჩუენ პრიველიგიებზედ.

ფანზენი.

ჩუენ, ბრაბანტელებს, ყუელაზედ მეტი უფლებაები გვქონდა ვიდრე სხუა პროვინციელებს. მე ეს სულ გამოვიკითხე.

სოესტი.

ჩუენც გაგვაგებინე სუყუელა, რაც გამოიკითხე!

იეტერი.

ყური უგდეთ.

ერთი მოქალაქეთაგანი.

მე გთხოვთ თქუენ.

ფანზენი.

პირველად იქ არის დაწერილი: გერცოგი ბრაბანტოსსა

უნდა იყოს კეთილი და ერთგული ბატონი ჩუპნი.

სოესტი.

რა კარგათ არის! ნუ თუ მართლა ეგრეა დაწერილი?

იეტტერი.

მართლა? ეგრეა?

ფანჩენი.

სწორეთ ეგრე, იმავე სიტყვებით, რომლითაც გითხარით, ისაც ისრე ვალდებულია ჩუპნი, როგორც ჩუპნ იმისი. იმან არ უნდა გამოიჩინოს, თვით ჩრდილიც კი, თავისის უფლებისა და ნებისა ჩუპნზედ. რომ ამისი ხსენებაც კი არ უნდა იყოს არას დროს არა რა საქმეში.

იეტტერი.

მშვენიერად არის ნათქვამი, მშვენიერად! არ უნდა გამოიჩინოს.

სოესტი.

და ჩრდილიც კი . . .

ერთი მოქალაქეთაგანი.

რომ ხსენებაც კი არ უნდა იყოს! აი პირველი პუნკტი! არას დროს არა რა საქმეში!

ფანჩენი.

სრულებით ეგრეა გამოხატული დაბეჭდილის ასოებით:

იეტტერი.

მოგვიტანე ის წიგნი.

ერთი მოქალაქეთაგანი.

დიახ, დიახ! ჩუჱნ გვინდა წიგნი.

მრავალნი.

წიგნი, წიგნი ჩუჱნ!

ერთი იმათაგანი.

წიგნით წავალთ მმართებელასთან.

(მეორე იმათაგანი ფანზენს.) უფალო დოკტორო შენ, პირუელმა, უნდა უთხრა იმას სიტყუა.

საპნის მხარშავი.

აი თქუჱნ სულელებო, თქუჱნა!

რომელნიმე

გვითხარი რამ კიდევ იმ წიგნიდგან.

საპნის მხარშავი.

სუ, კბილებს დავამტვრევ, თუ კიდევ ჴმას ამოიღებს.

ხალხი.

ვნახამთ, ვინც ჴმას გასცემს. გვითხარ რამ კიდევ ჩუჱნ უფლებაებზედ, ხომ კიდევ მეტი არა გვქონია?

ფანზენი,

კიდევ ბევრი ძალიან კარგები, ძალიან კეთილის მყოფელნი! იქ სხუათა შორის არის დაწერილი: მმართებელს არ შეუძლიან უნების დაურთავად კეთილშობილთა და მოქალაქეთა, ვერც წარმატება მისცეს სასულიერო წოდების მღვომიარეობას, ვერც განამრავლოს ისინი· კარგათ შენიშნეთ ესა! ევრეთვე არ შეუძლიან შეცვლა რისამე შესახებ სასოფლოსი.

სოესტი·

ეგრეა თუ?

ფანზენი.

სუყველას ამას გაჩუენბთ წიგნში, რომელიც არის გამოცემული ორასის, სამასის წლის წინათ.

ერთი მოქალაქეთაგანი·

ჩუენ კი უნდა დაეთმოთ ახალი ეპისკოპოზების მოსელას? კეთილშობილნი უნდა დაგვეხმარნენ, ჩუენ ყუელანი ავდგებით.

მრავალნი·

ჩუენ არ მოვითმენთ რომ, ინკვიზიციამ თავის სოროები მოგვაძებნინოს.

ფანზენი.

თქუენ თითონვე ხართ დამნაშავენი.

ხალხი·

ნუგეშინიან. ცოცხალია ჩუენი გრაფი ეგმონტი! კიდევ ორანელი! ისინი ზრუნავენ ჩუენთვს.

ფანზენი

ფლანდრიელები, თქუენი მოძმენი, დიდი ხანია შეუდგნენ კეთილს საქმესა.

საპნის მხარშავი

აი შე ძაღლო! [ჩასცხებს)

მრავალნი (მიეხვევიან საპნის მხარშავს]

რას შერები კაცო? ისპანელი ხარ შენ თუ არა?

რომელნიმე.

როგორ? როგორ შეიძლე პატიოსან კაცის ჩაკვრა?

რომელნიმე სხუანი.

ნასწავლისა? (ხალხი დაეცემა საპნის მხარმავს)

დურგალი!

ღვთის გულისათვის დაწყნარდით! (მრავალნი დაუწყებენ ერთი ერთმანერთს ცემას) მოქალაქენო რას ჩადიხართ? [პატარა ბიჭები დაუწყებენ შტვინვას, ქვის სროლას, ძაღლების სევნას; მოქალაქენი დგანან შეურყეველნი, ხალხი ყოველს მხრივ შემოურბის, შეიქნება არევა. მჭიდრაობა, პარვა ჯიბეებიდგან]

მრავალნი.

ჩუენი უფლებაები და პრივილიგიები! სითარხნე და უფლებაები!

ეგმონტი შემოდის ამალათი]

ეგმონტი.

დაწყნარდით ხალხო! დაწყნარდით! რა ამბავი გაქუსთ? გაიარე წადით აქედან!

დურგალი.

ჩუენი მოწყალეო! როგორც ანგელოზი გამოგვეცხადე! ჩუმათ, ე! განა ვერ ხედავთ? გრაფი ეგმონტი! სალამი გრაფ ეგმონტს!

ეგმონტი.

და ისიც ამალაგს! რასაპირებთ? მოქალაქე მოქალაქეზედ ნუ თუ სიახლოვე ჩუენის სატახტო მმარებელასი ვერ იმაგრებ[?] თქუენს ცოფიანს გამოთამაშებას. წადით აქედგან!

წადით თქუენ თქუენ საქმეზედ! კარგი ნიშანი არ არის როდესაც სამუშაო დღეს უქმობთ; რაზედა ჩხუბობთ?

ჩხუბი ნელ ნელა მოიშლება, ყველან., გარეშამო შემოერტყმიან ეგმონტს თავიანთს პრივილეგიებზედ ჰქონდათ ჩხუბი.

ნათ. მ. ხუდადაშვილისაგან.

[ზოგი შემდეგში იქნება]

## საქართველოს მეფის ირაკლის ასულის თეკლას გარდაცვალებაზედ და დასაფლავებაზედ რამდენიმე სიტყვა·

ჩუმე წელსა ია—სა მარტისას მეოთხის საათ ის ნახევარს შუაღამიდამ, გარდაიცვალა ტფილისსა შინა შემდგომ რვა დღის სნეულებისა, შობიდგან სამეოცდა მეათესა წელსა? მისი უგანათლებულესობა საქართველოს მეფის ირაკლის ასული თეკლა, კავალეროსანი წმინდის ეკატერინას ორდენითა ქვრივი პოლკოვნიკის თავადის ჯამბაკურ ორბელიანისა, თანა შობილი და უკანასკნელის მეფის გიორგისა, და უმრწემესი ასული მეფის ირაკლისა.

ბრწყინვალე და განმჭრვეტელი გულის ხმის ყოფისა, უძულებელი მხიარულება, გულითი სიწრფოება და უმაღლესნი სათნოებანი ჭეშმარიტისა ქრისტიანისანი, ხესთა ჩვეულებითსა ზნეთა სიმტკიცესა შინა მოუპოვებდნენ მას ყოველად საზოგადოსა სიყვარულსა და ღრმასა პატივის ცემასა.—არა მიმხედველი მოხუცებულებისა წელთა, მეფის ირაკლის ასული თეკლა, ვიდრე უკანასკნელის სიცოცხლის წამადმდე დაიცვევდა ზნესა შინა თჳსსა და უბნობასა სრულიადსა მტევრსა სიყრმისასა, და მით უძლიერესად გვძლო ჩვენ

გრძნობითა წრფელისა და სულიერისა მწუხარებისათა, მს-
წრაფლ შემთხუეულმან აღსასრულმან მისმან.

წინად რაოდენისამე საათის თჳსსა სიკუდილადმდე აღასრუ-
ლა უკანასკნელი ქრისტიანებრივი წესი, მეფის ასულმან გა-
ნაცხადა სურვილი ხილვისათჳს კნიაზ მიხაილ სიმეონის ძის
და კნეინა ელისაბედ კსავერიევნა ვარანცოვთა, ოდესაც გა-
მოუცხადეს მას, რომელ კნიაზი ნამესტნიკი მსწრაფლ აღა-
სრულებს თხოვას მისსა და მოვალს ორს საათზედ შეადღე-
დამ, სნეულმან უბრძანა მორთმევად თჳსდა საათისა და მო-
უწყვეტელად აღორძინებულითა უთმინოებითა მოელოდა და-
ნიშნულსა წამსა ნახვისასა. კნიაზ ნამესტნიკმან და მეუღლე-
მან მისმან დაჰყვეს უფროს ერთის საათისა ახლოს სნეულისა
სარეცელისა მხდომარეთა და უწრფელესისა თანა მონაწი-
ლეობისა გრძნობათა გამოცხადებითა დატკბობილ—ჰყვეს
უკანასკნელნი წამნი მისნი; შემდგომ წასვლისა მათისა მეფის
ასული დაშთა სრულიად განსვენებით დამკურნალთა მხილ-
ველთა მისთა მწუხრად ჰპოვეზლა ოდენ ნიშანი ფრიადის
სისუსტისა.—მდგომარეობამან მისმან მოხარულ—ჰყვნა გუ-
ლნი გარემომცველთა მისთა, ნათესავთანი სამხიარულოითა
იმედითა შესაძლოს განთავისუფლებისათჳს. გარნა თჳთოეუ
ლსა წამსა განძლიერებულმან სისუსტემან არა დააყოვნა
აღმოწვდა წინაშე მათსა სამწუხაროსა ჭეშმარიტებისა; ოთხის
ნახევარსა საათისასა გაციებული გვამი მეფის ირაკლის
ასულის თეკლასი სავსე, ჯერ წინად რაოდენისამე დღ ს

უწინარეს მისა გონიერებითა და ბუნებითისა ქცხოერების და გულითადის გამოთქმითა განჰზანდა ნათესავთა მისთაა ცრემლთა მიერ.

სამწუხარო მოთხრობა გარდაცვალებისათჳს მეფის ასუ ლის მყევთრად განისმა ქალაქსა შინა და მოზიდნა სახლსა შინა მიცვალებულისასა ასობითნი მნახველნი მისწრაფენი გა ნყოფისათჳს ძეთა მისთა და სძალთათანა გრძნობათა სულიე რისა მჭუნვარებისათა; მათ რიცხვთა შორის პირველნი ოდენ იყვნენ კნიაზი და კნეინა ვარანცოვნი! გამოთქმა ღრმის- მწუხარებისა კნიაზის ნამესტნიკისა დაკრძალულებითი ლოცვა რომელი აღასრულა მეუღლემან მისმან წინაშე მკუდრისა მეფის ასულის სარეცელისა. იყუნენ მისთჳს თჳთ შეენიერ სიტყვაობ ით დაფლვისა შესხმად.

მეთორმეტესა რიცხვსა გვამი მეფის ასულისა შთასვენე- ბულ იყო კუბოსა შინა და დადგმულ ძაძითა მოკრულსა სახლსა დიდ მეენიერსა კათედრასა ზედა, ხოლო ოთხს საათზედ მეადლითგან აღასრულეს პანახიდი, სადაცა იყუნენ თჳთ მახლობელნი ნათესავნი მიცვალებულისანი და კნეინა ელისაბედ კესეერიევნა ვარანცოვისა. ერთ თჳთ ხშირ მწუხ რადმდე მრავალ რიცხოვან გუნდად შემოკრბებოდნენ თაყ- ვანის საცემელად მკვდრისა მეფის ირაკლის უკანასკნელის ასულისა.—საქართუელოსამინა დაწესებულის საეროს ჩუე ულებისამებრ, მრავალნი მხილველნი მტირალნი გამოსთქმი დნენ მწუხარებასა თჳსსა აღიაკუთი მესვენებულსა სული

ერთა ვითარებათათა და აღწერითა შესანიშნელთა შემთხვე
ვათათა ცხოვრებისა მისისათა ანუ გამოცხადებათა მისდამი-
ცნობისა გრძნობათა მიდრეკილებისა, მოყვარებისა და ნათე
საობითისა სიყვარულისათა.

ათ ცამეტსა რიცხვსა ცხრას საათზედ დილით, მუკანი სა-
რთულნი მოაჯირნი და საკმელნ სახლთანი სიონი სობო-
როდგან პოლიციის მოედნამდე სადაცა არს სახლი განსვე-
ნებულის მეფის ასულისა იყვნენ სავსენი ერითა. შემდგომ
კნიაზ ნამესტნიკის მოსვლისა და ლოცვათა აღსრულებისა
საქართველოს ეგზარხოსის ყოვლად სამღვდელოს ისიდორეს
მიერ წინად გვამის გამოსვენებისა თავადთა უძველესთა
საქართველოს გვარისაგანთა აღიღეს და წამოიღეს ქვეითა
კუბო სიონის სობოროსა შინა, სადაცა ყოვლად სამღვდელო
ისიდორემ ყოვლითა აქაურითა სამღვდელოებითა აღასრულა
საღმრთო ლიტურღია და ანდერძი. შემდგომ რომლისაცა,
კუბო დასდვეს დასაფლავებელს ეტლსა ზედან და წარმოიღეს
რომელსა მოსდევდა პირველი ბატალიონი გრუზინსკის
გრენადერის პოლკისა ორთა მწყობრთა მოსაკრავეთა თანა
ვიდრე მოსკოვის ზასტავამდე. საიდგან წარემართნენ თან
წარყოლითა ყაზახთა დაჟანდარ მებთათა სობოროსა მცხეთისა
სა ადგილსა სამარხსა ყოველთა საქართველოს მეფის სახ-
ლისა წევრთასა. — კნიაზი და კნეინა ვარანცოვენი, პატრია-
რხი ნერსეს, ნაჩალნიკი სამოქალაქოს მმართველობისა ღენე-
რალ ლეიტენანტი ლადინსკი, ნაჩალნიკი უმთავრესის შტან

ბისა გენერალ ლეიტენანტი გურკო. ყოველნი უპირველესნი თანამდებობისა პირნი ტფილისისანი და საქართველოს თავადნი, ვითარცა განკებ აქ მოხსრულნი მისდევდნენ კუბოსა მეფის ირაკლის ასულის თეკლასსა ვიდრე მოსკოვის ზასტავამდე. მსგავსი დიდებულისა.

ამის დასაფლავებისა ჯერეთ არა უხილავს არავის ტფილისსა შინა: ყოველნი დუქანნი იყვნენ ქალაქსა შინა, დახშულნი. ხოლო შეკრება ერისა აღემატებოდა თვით დარწმუნებასა! დასაფლავება ესე იყო სრულიად ზომიერი და ღირსი მაღლისა შთამამავლობისა განსვენებულისა და მის ერთსულობითისა ღრმისა პატივისცემისა, რომლითაცა სარგებლობდა იგი მომდინარეობასა სამეოცდა ათის წლისასა.

მოთხრობა მეფის ირაკლის ასულის თეკლასი შესასწავებელ არს მრავალთა შინა შემთხვევათა, გარნა განმსაზღვრებელი გეტყვით მე დავითისა მუხლთა მეცვეითა მხოლოდ წვლილად რაოდენგზისმე სმენილსა ჩემ მიერ განსვენებულისაგან.

მეფის ირაკლის ასული თეკლა, ვითარცა მე წინათვე ვსთქვი იყო თვით უმრწემესი ასული მეფის ირაკლისა; მშობლურსა სიყვარულსა მისსა და ალერსსა არა აქუნდა მას დამი საზღვარი: გონიერება, ბუნებითი სიმკვეთრე და სიცელქე ყრმა მეფის ასულისა შეადგენდენ საყვარელსა განქარვებასა მძიმეთა შრომათაგან ბრძნისა მის მეფისა მმართველობისასა. გარნა ამასთანავე ერთად უბედურისაცა, ხოლო

მასთა კარისკაცთათჳს მსახურებდნენ სხვა და სხუათა მოთხრობათასა აღმოუვსებელ წყაროდ.—ხშირად შექცეული სიცელქითა საყუარლისა თჳსისათა მეფე ცხადად სწუხდა, რომელ იგი არა იშუა წულად; ამათ სიტყუათა მისცეს ყრმასა ღრმა ფიქრი და მანცა იწყო უფროს და უფროს განყოფა მამისა მჴუნვარებათა. ჩღპ—სა წელსა დროსა მეფის ირაკლის თელავს ყოფისასა შორის მამისასა და ოთხ—წლოვანისა ასულის აღმოხდა თვთ ნამდვილი მიწერ მოწერაჲ; რიცხვთა შორის დაცულთა წერილებთასა, განსაკუთრებით შესასწავებელ არს დამტკიცებული მეფის ბეჭდითა და საქართუჱლოს კათოლიკოსისა მიერ დამოწმებული ღრამოტა შემდგომის ჰჭრის მექონეჲ: მოვიბოძებთ ამას წყალობისა წერილსა შინა, ჩვენს ასულად ყოფილსა თეკლა, ვაჟკაცსა თუმცა აქამომდე ყოველნივე გიცნობდნენ შენ ქალად. გარნა აწ გაძლევთ შენ ყოვლის კაცისაგან უცილებელს წოდებას თეკლა ვაჟკაცობისასა ვუბრძანებთ ყოველთავე ძმებთა და დათა თეკლად ყოფილისათა ამიერიდგან სხუა არღარა უწოდონ რაჲ თუ არ თეკლა ვაჟკაცი იდ—სა ოკტომბერსა ჩყპ—სა წელსა,

ბიძა თქუენი, საქართუჱლოს კათოლიკოსი ანტონი, ვამტკიცებ ამა წყალობის წერილსა.

მე შენი ძმა მეფის ძე იულონ და ალმასხან. ვამტკიცებთ ამა წყალობის წერილსა.— საფუძველსა ზედა ამის წყალობისა წერილისა მეფის ასულსა თეკლას, ემთხა სიყრმესა შინა

თჳსსა მამაკაცური მათებრი ტანისამოსი და მარადის წარჰყვე-ბოდა მეფესა ხოლოცა წარეიდოდა ცხენით და სრულიად ჭუ-რვილი.

სიტყუათა ებრ განსვენებულის მეფის ასულისათა, მხოლოდ უწრფელესთა და ხშირად მის მიერ განმეორებულთა სურვი-ლთაგან მეფის ირაკლისათა იყო, რათამცა მან იცოცხლოს ღრმად მოხუცებულობამდე და გვერდით მისა დაეფლას; სურვილი ესე შემთხვევითისა გარემოების მდინარეების გამო აღსრულდა, სობოროსა შინა მცხეთისასა, ადრიდგანვე დაეფ-ლოვნენ წევრნი მეფისა სახლისათანი, იყო დაცულ გვერდით მეფის ირაკლის საფლავისა ადგილი საფლავად მესამისა და უკანასკნელის მეუღლისა მისისა დედოფლის დარიასათჳს რომე-ლიც გარდაიცვალა და დაფლულ არს პეტერ—ბურღს.

სხუა და სხუა ამბავი:

აი რასა ჰწერენ კავკაზიის გაზეთში; აპრილის 21-ში ამ წელიწადს, შუადღის უკან სამ საათზედ და რვა მინუტს, შემახიაში მოხდა თვით უძლიერესი და შესანიშნავი მიწის რყევა, რომელმაცა დააქცია ბევრი შემახიის ქალაქის შენობები. სოფელს სუნდში, თერამეტ ვერსტზედ შემახიითგან მოშორებით. ისე დაანგრია შენობები, რომ მხოლოდ ნაქცევები ჰყრია აქა—იქ, როგორც ნახარ სოფელში.

თვთან ჰორიეე აცნობებდა ხალხსა, მიწის ძვრას, მინამ მიხვდებოდა მიწის შერყევას. მინამ მიწა შეძრებოდა, რამდენიმე დღის წინათ, ჰაერი როგორღაც შეიცვალა; ისე რომ ადამიანს სულს უგუბებდა, ზოგჯერ მოჰბერავდა ცხელი ნიავი. რამდენიმე დროს მიწის ძვრის წინეთ, ქალაქში, მადრეები სადაც იყო, ის წყალი აიმღვრა და აივსო ლაფითა სოფელს სუნდახში, იქაურთ მცხოვრებთ მოწმობით მინამ მიწა იძვროდა, ჰაერში ნიორის სუნი ტრიალებდა. რომელიცა კაცს სულს უგუბებდა; და მიწის ძვრის დასაწყისში; სოფელს სუნდახში, მთებითგან მოისმოდა გრიალის და გვრგვინვის ხმა, მერეთ აღიწეოდნენ ზემოთ ღრუბლები და მიდიოდნენ აღმოსავლეთითგან დასავლეთისაკენ. ამ გვარივე ღრუბლები ტრიალებდნენ თითონ შემახიაში, მიწის ძვრის დღეს, შუადღის ჟამსა. ორმა მაგნიტმა, რომელნიცა იყვნენ სასწავლებლის სახლში, დაკარგეს თავიანთი ძალა და ჩა-

მოკვიკდენ ქარსა.

ბოლოს, სამ საათზე და რვა მინუტზედ შუადღის უკან დაიწყო დიდი მიწამ თჳთ უძლიერესი რყევა. ოცდა ორი მინუტის განმავლობაში ირყეოდა. ზოგიერთი სახლები სრულებით დაიქცა, ზოგი შიგა და მიგ დაარღვია დაასში ერთი არ გადარჩა, რომ მრთელი იყოს და უზიანო.

## 1 8 6 9 წლის

„ცისკრის" დაბარება შეიძლება ამ საჴით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით, 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარ კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მამინვე აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის" რედაქციაში ტფილისს.

---

Дозволено цензурою. Сентя. 15. 1869. რედ. ი. კერესელიძე.